188
1974/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3

მაისი—ივნისი

1974 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3 მაისი — ივნისი 1974 წ.

14628

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

34. საქართველოს სსრ საბინაო და კომუნალური მეურნეობის საწარმოო-ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
35. რესპუბლიკაში სასოფლო მშენებლობის მართვის გაუმჯობესების შესახებ.
36. მსუბუქი მრეწველობის საქონლის წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების სრულყოფის, მისი ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების, მრეწველობასთან ვაჭრობის კავშირურთიერთობის სრულყოფის ზოგიერთი საკითხის შესახებ.
37. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 26 მარტის № 178 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

38. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დამატებითი გარდამავალი წითელი დროშების დაწესების შესახებ.

ეროვნების სახ. საქ. სსრ
საბჭოთა რესპუბლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

39. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშისა და ფულადი პრემიების დაწესების შესახებ.
40. „1974 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საქართველოს მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 31 იანვრის № 100 დადგენილების და „1974 წლის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ“ № 89 დადგენილების გამოყენების ზოგიერთი საკითხის თაობაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

41. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანიზაციისა და საქმიანობის შემდგომი სრულყოფის შესახებ.
42. ქ. ცხინვალში 6—9-სართულიანი საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების დაპროექტებისა და მშენებლობის შესახებ.
43. იმ თანამდებობათა ნუსხების დამტკიცების შესახებ, რომლებზეც ვრცელდება ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაცია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ სამინისტროთა და უწყებათა სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებში.
44. „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის წლის განმავლობაში წამოჭრილ მოთხოვნილებათა მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 18 თებერვლის № 79 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.
45. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მექანიზებული რგოლების შექმნისა და შრომის ანაზღაურების რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ.
46. რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცებისა და მათი რაციონალურად განლაგების ღონისძიებათა შესახებ.
47. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებით დასაქმებულ მუშაკთა შრომის ამონაგების პროცენტულად ანაზღაურების პირობების დებულების დამტკიცების შესახებ.
48. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
49. თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების საკითხები.
50. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის საკითხები.
51. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

დადგენილებები

34 საქართველოს სსრ საბინაო და კომუნალური მეურნეობის საწარმო-ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობა განხორციელდა საბინაო და კომუნალური მეურნეობის განსავითარებლად, მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გასაუმჯობესებლად.

ადგილობრივი საბჭოების საქალაქო საბინაო ფონდი 1966-1973 წლებში 2620 ათასი კვადრატული მეტრით გადიდდა და 1974 წლის 1 იანვრისათვის მიაღწია 9060 ათას კვადრატულ მეტრს. 6 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი ცალკეულ სამინისტროთა და უწყებათა გამგებლობაშია და თანდათანობით უნდა გადაეცეს ადგილობრივ საბჭოებს, ხოლო 1 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების განკარგულებაშია.

ამასთანავე საბინაო ფონდის, განსაკუთრებით ცალკეულ სამინისტროთა, უწყებათა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა გამგებლობაში არსებული საბინაო ფონდის, ექსპლუატაციის საქმეში ადგილი აქვს არსებითს ნაკლოვანებებს.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ბევრი საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია, თუმცა მათი მოვლა-შენახვისათვის გამოყოფილია მნიშვნელოვანი სახსრები.

საბინაო ფონდის რემონტი მთელ რიგ შემთხვევებში დროულად და ხარისხიანად არ ხორციელდება, რის შედეგადაც საცხოვრებელი სახლები ნაადრევად გამოდიან მწყობრიდან.

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში სახლთმმართველობათა გამსხვილებისათვის გაწეული მუშაობა ნაკლებად შეეხო საუწყებო საბინაო ფონდს. საცხოვრებელი სახლების ექსპლუატაცია უწყებებს გაცილებით უფრო ძვირი უჯდებათ, ვიდრე ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, და დიდი ზარალი მოაქვს მათთვის.

რესპუბლიკის კომუნალურ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი, რაც იმის შედეგია, რომ მათი საქმიანობისადმი შესუსტდა კონტროლი და მომთხოვნელობა ადგილობრივი პარტიული ორგანოების, აგრეთვე საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მხრივ. კომუნალური მომსახურება ჯერ კიდევ არ შეესაბამება სკკპ XXIV

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებსა და მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

ქ. თბილისის კომუნალური მეურნეობის ძირითად დარგებს (წყალსადენ კანალიზაციის მეურნეობა, თბომეურნეობა, სასტუმროების მეურნეობა, ენერგეტიკული მეურნეობა, მეტროპოლიტენი და ზოგიერთი სხვა) თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომში არ გააჩნიათ გამაერთიანებელი და მაკოორდინირებელი ორგანო, რაც უარყოფითად მოქმედებს მათს მუშაობაზე.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო ჯერ კიდევ საკმარისად არ ხელმძღვანელობს რესპუბლიკის კომუნალურ მეურნეობას და სრულიად არ განაგებს ქ. თბილისის კომუნალურ მეურნეობას, სადაც დიდია მომსახურების ამ სახეობის მოცულობა.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა საცხოვრებელი სახლებისა და კომუნალური მეურნეობის ობიექტების ექსპლუატაციის დონის ამაღლებას, რესპუბლიკის საბინაო და კომუნალური მეურნეობის საწარმო-ორგანიზაციათა საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ამ დარგის მდგომარეობისათვის საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს პასუხისმგებლობის გაძლიერებას, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. გარდაიქმნას საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროდ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიტანოს შესაბამისი ბრძანებულების პროექტი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად.

2. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად დებულება საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს შესახებ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მთავარმომარაგებას გადასცეს წლის განმავლობაში დამატებით გამოყოფილი მასალების ფონდები, ავტოტრანსპორტი, მექანიზმები და მოწყობილობა, რაც გათვალისწინებულია რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარებისათვის, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, რათა შემდგომ გაუნაწილოს ისინი ქალაქებსა (ქ. თბილისის გარდა) და რაიონულ ცენტრებს.

4. ქ. თბილისის კომუნალური მეურნეობის საწარმო-ორგანიზაციათა საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნას თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის შემადგენლობაში სამეურნეო ანგარიშზე კომუნალური მეურნეობის საწარმო-ორგანიზაციათა მთავარი სამმართველო კომუნალური მეურნეობის არსებული სამმართველოების (თელასი, წყალსადენ-კანალიზაციის სამმართველო, თბომეურნეობის სამმართველო) სტრუქტურის შენარჩუნებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესდეს, რომ კეთილმოწყობის სამმართველო, საბინაო მეურნეობის სამმართველო და კომუნალური მეურნეობის საწარმო-ორგანიზაციათა მთავარი სამმართველო ერთდროულად ექვემდებარებიან როგორც თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს, ისევე საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ:

ა) ორი კვირის ვადაში განიხილოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის საწარმო-ორგანიზაციათა ახლადშექმნილი მთავარი სამმართველოს სტრუქტურისა და მისი შტატებით უზრუნველყოფის საკითხი 1974 წელს აღმასკომის სამეურნეო მმართველობის ორგანოებისათვის დამტკიცებული საშტატო რიცხოვნობის, ხელფასის თვიური ფონდისა და ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში; ამასთან გაითვალისწინოს აღმასკომის შტატის გადიდება 20-მდე საშტატო ერთეულით და მათი შენახვის ხარჯების შესაბამისი ზრდა 1974 წელს რესპუბლიკის სამეურნეო მმართველობის ორგანოებისათვის დამტკიცებული საერთო საშტატო რიცხოვნობის, ხელფასის ფონდისა და ზღვრულ ასიგნებათა ხარჯზე;

ბ) თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის საწარმო-ორგანიზაციათა მთავარი სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მიზნით განიხილოს აღნიშნული სამმართველოსათვის ერთი ადგილობრივი დაქვემდებარების მექანიკური ქარხნის გადაცემის შესაძლებლობის საკითხი;

გ) ნება დართოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს შექმნას კომუნალური მეურნეობის საწარმო-ორგანიზაციათა მთავარი სამმართველოს შემადგენლობაში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ბიურო.

6. დაევალოს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს შეიმუშაოს 1974 წლის 15 მაისამდე სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურა და საშტატო განრიგი და წარმოუდგინოს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

7. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამოყოს ნაკვეთი „საქკომუნმშენსახპროექტის“ ინსტიტუტის საწარმოო შენობის მშენებლობისათვის, ხოლო საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ შეადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 1974 წელს და შეუდგეს მშენებლობას 1975 წელს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 12 მაისი, № 231.

№ 3 ეროვნული ბიბლიოთეკა

35 რესპუბლიკაში სასოფლო მშენებლობის მართვის გაუმჯობესების შესახებ

რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის ორგანიზაციაში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელების, სახელმწიფო და საკოლმეურნეო მშენებლობის საწარმოო ბაზების კომპლექსური განვითარების, მატერიალური რესურსებით მომარაგების მოწესრიგებისა და სამშენებლო ორგანიზაციების გამსხვილების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის“ წინადადებანი და შეყვანილ იქნეს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შემადგენლობაში გაერთიანება „საქკოლმეურნმშენი“, ამასთან შეუნარჩუნდეს მას არსებული სისტემა, საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის მართვის ფორმა, ხოლო სამუშაოთა მოცულობა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება შევიდეს სამინისტროს გეგმაში.

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი ამავე დროს არის საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანების — „საქკოლმეურნმშენის“ თავმჯდომარე ამავე დროს არის საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილე.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს:

— ორი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკის დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებული წინადადებანი რესპუბლიკაში სასოფლო მშენებლობის შემდგომი გაუმჯობესებისა და სრულყოფის, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს დებულებაში და გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის“ წესდებაში ამ დადგენილების შესაბამისად დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ;

— სამი თვის ვადაში წარუდგინოს სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებული წინადადებანი სასოფლო მშენებლობის სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა ქსელისა და სტრუქტურის შესახებ, ამასთან მხედველობაში იქონიოს მათი გამსხვილება და უფრო რაციონალური განლაგება.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 29 მაისი, № 287

ეროვნული ბიბლიოთეკა

36 მსუბუქი მრეწველობის საქონლის წარმოების დაგეგმვისა ეკონომიური სტიმულირების სრულყოფის, მისი ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების მრეწველობასთან ვაჭრობის კავშირურთიერთობის სრულყოფის ზოგიერთი საკითხის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ მერვე და მეცხრე ხუთწლედების განვლილი წლების მანძილზე მნიშვნელოვნად განვითარდა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის დარგები. ამ ხნის განმავლობაში მსუბუქი მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდები თითქმის ერთიორად გაიზარდა; აშენდა და რეკონსტრუირებულია 30 საფეიქრო, სატრიკოტაჟო, სამკერვალო, ფეხსაცმლისა და სხვა საწარმო. მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა ხელახალი ტექნიკური აღჭურვისათვის. ყოველივე ამის მეოხებით ქსოვილების წარმოება გადიდდა 38 პროცენტით, შეკერილი ნაწარმისა — 91 პროცენტით, ფეხსაცმლისა — 15 პროცენტით, საფეიქრო-საგალანტერეო ნაწარმისა — 38 პროცენტით, ზედა ტრიკოტაჟისა — 2,1-ჯერ.

მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდასთან დაკავშირებით ამჟამად სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ეხიჭება მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის წარმოების არა მარტო მნიშვნელოვანი გადიდების, არამედ აგრეთვე მისი ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს. მაგრამ მსუბუქი მრეწველობის ყველა საქონელი თავისი ხარისხით, ასორტიმენტითა და გარეგნული სახით როდი შეესაბამება მყიდველთა გაზრდილ მოთხოვნებს.

მსუბუქი მრეწველობის საწარმოები ნელა გარდაქმნიან წარმოებას მოსახლეობის მოთხოვნის ცვლილების შესაბამისად. ჯერ კიდევ საკმარისად მოქნილი და ეფექტიანი არ არის მრეწველობისა და ვაჭრობის კავშირურთიერთობა. ყოველივე ამის შედეგად სავაჭრო ქსელში გროვდება დიდძალი გაუსაღებელი საქონელი.

ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზია მსუბუქი მრეწველობის საქონლის წარმოების დაგეგმვასა და ეკონომიურ სტიმულირებაში არსებული ზოგიერთი ნაკლი. ამ დარგის საწარმოებისათვის ზემდგომი ორგანიზაციების მიერ ამჟამად დამტკიცებული წარმოების მოცულობა ცალობით, წყვილობით და სხვ., საშუალებას არ იძლევა ამ მაჩვენებელთა ფარგლებში საკმარისად იყოს გათვალისწინებული ვაჭრობის შეკვეთები და არ უზრუნველყოფს საქონლის გამოშვებას მოსახლეობის მოთხოვნისა და ბაზრის კონიუნქტურის შესაბამისად, ბოჭავს საწარმოთა ინიციატივას ახალი საქონლის გამოშვებისათვის. საჭრეწველო საწარმოთა საქმიანობის შეფასება ხდება იმის ჯეროვნად გაუთვალისწინებლად, თუ რამდენად სარგებლობს მათი პროდუქცია მოსახლეობის მოთხოვნით. ამიტომ დარგის საწარმოები უმთავრესად უზრუნველყოფენ გეგმით გათვალისწინებული ნაწარმის გამოშვებას და სათანადო ყურადღებას არ უთმობენ საქონლის ხარისხის ამაღლებისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების საკითხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 22 აპრილის № 291 დადგენილება „მსუბუქი მრეწველობის საქონლის წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების სრულყოფის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 22 აპრილის № 292 დადგენილება „მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების და მრეწველობასთან ვაჭრობის კავშირურთიერთობის სრულყოფის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ დაეგზავნოთ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს კპ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას, ცეკავშირის გამგეობას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოს, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებულის სამმართველოს საქართველოს სს რესპუბლიკაში, საქართველოს კპ საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, და დაევალოთ მათ მსუბუქი მრეწველობის საქონლის წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების სრულყოფის, მისი ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების, მრეწველობასთან ვაჭრობის კავშირურთიერთობის სრულყოფის მიზნით გააძლიერონ ყურადღება მსუბუქი მრეწველობის საქონლის წარმოების, მისი ხარისხის ამაღლებისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების საკითხებისადმი, დროულად აღმოუჩინონ მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს დახმარება ამ საკითხების გადაჭრაში, უზრუნველყონ საჭირო კონტროლი დარგის საწარმოთა საქმიანობისადმი, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ მსუბუქი მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესება სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული მეცხრე ხუთწლედის მთავარ ამოცანის გადაწყვეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

2. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ:

— შეიმუშაოს სამი თვის ვადაში და განახორციელოს დამატებითი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მიმდინარე ხუთწლედში პროდუქციის ხარისხის ძირეულ გაუმჯობესებას და ასორტიმენტის მნიშვნელოვან გაფართოებას, ხარისხის სახელმწიფონიშნიანი ახალმოდური საქონლის გამოშვების გადიდებას;

— უზრუნველყოს ყველა საქვეუწყებო გაერთიანებისა და საწარმოს მიერ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება ზუსტად სავაჭრო ორგანიზაციებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით და საქონლის სარესპუბლიკათშორისო მიწოდების გეგმების დროულად შესრულება;

— გააძლიეროს კონტროლი იმისადმი, რომ მსუბუქი მრეწველობის გაერთიანებებმა და საწარმოებმა არ გამოუშვან ისეთი საქონელი, რომელიც არ სარგებლობს მოსახლეობის მოთხოვნით, და დროულად მოხსნას წარმოებიდან ასეთი საქონელი;

— უზრუნველყოს სისტემის საწარმოებში გამოშვებული ნაწარმის, ნედლეულისა და მასალების ახალი ტექნიკური პირობებისა და სახსტანდარტების დროულად დანერგვა;

— პროდუქციის წარმოებისა და ხარისხის ტექნიკური დონის ამაღლების უზრუნველსაყოფად სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ სამუშაოთა დაფინანსების მიზნით შექმნას მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდი საქვეუწყებო გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მოგების ანარიცხების ხარჯზე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დაწესებული ნორმატივების მიხედვით;

— ბაზრის კონიუნქტურის, მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლისათვის მუშაობის გაუმჯობესების, ახალი ნაწარმის შესახებ ფართო ინფორმაციის, სახალხო მოხმარების საქონლის რეკლამის ორგანიზაციისა და ამ მუშაობის კოორდინაციის მიზნით შექმნას სამინისტროს ცენტრალურ აპარატში მოთხოვნის შემსწავლელი და რეკლამის სპეციალური სტრუქტურული ქვედანაყოფი სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა სარევიზიო სამსახურების ცენტრალიზაციის ბაზაზე, სამინისტროს დამოუკიდებელ საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოდ გარდაქმნილი საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების საშტატო ერთეულების განთავისუფლების ხარჯზე.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ შეიმუშავა და ახორციელებს ღონისძიებებს საწარმოთა ხელახალი ტექნიკური აღჭურვისათვის, პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვისათვის, ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისა და გამოშვებული ნაწარმის ასორტიმენტის გაფართოებისათვის 1974-1975 წლებში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს:

— შეიმუშაოს და განახორციელოს სამი თვის ვადაში ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ საბითუმო ბაზების როლის ამაღლებას ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, ქსოვილებითა და მსუბუქი მრეწველობის სხვა საქონლით საცალო ვაჭრობის უზრუნველყოფაში მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისი ასორტიმენტით; გააძლიეროს საბითუმო ბაზების პასუხისმგებლობა საქონლის წარმოების თაობაზე შეკვეთების სისწორისა და დასაბუთებულობისათვის, საცალო სავაჭრო ქსელში შეტანილი საქონლის რეალიზაციისათვის, შეკვეთილი საქონლის დროულად გატანისათვის და მის მიღებაზე უარისთქმის ვადების დაცვისათვის სასაქონლო რესურსებით უკეთ მანევრირებისა და მათი ოპერა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიული გადანაწილების მიზნით სავაჭრო ორგანიზაციებს შორის როგორც ადგილ-პუბლიკის შიგნით, ისევე მის ფარგლებს გარეთ;

— შეიმუშაოს და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან შეთანხმებით წარუდგინოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს სავაჭრო (საბითუმო და საცალო) ორგანიზაციებში მსუბუქი მრეწველობის საქონლის მარაგის დასაბუთებული ნორმატივები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქონლის დახარისხების გაუმჯობესებასა და მის თანაბარზომიერ მიწოდებას სავაჭრო ქსელში, აგრეთვე სეზონური საქონლის მიღებას მთელი წლის განმავლობაში.

4. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ ყოველწლიურად დაუგზავნოს საქვეუწყებო საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებს საბითუმო ბაზრობათა დაწყებამდე 2 თვით ადრე მაინც პროდუქციის წარმოების მოცულობის წინასწარი დავალებანი და ბამბის, შალის, სელის, ქიმიური ბოჭკოების, ტყავის ნედლეულისა და ქსოვილების ლიმიტები, ხოლო საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ — საქვეუწყებო საბითუმო ბაზებს მსუბუქი მრეწველობის საქონლის საბაზრო და არასაბაზრო ფონდები.

5. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ:

— განაზოგადონ ერთი თვის ვადაში მსუბუქი მრეწველობის საქონლის გაყიდვის სარესპუბლიკათაშორისო და რესპუბლიკურ საბითუმო ბაზრობათა ჩატარების შედეგები და წარუდგინონ შესაბამისი მასალები რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს;

— შეიმუშაონ ერთი თვის ვადაში საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საბითუმო ვაჭრობის ბაზების მიერ მთელი წლის განმავლობაში მისაღები სეზონური საქონლის ნუსხა, ამასთან მხედველობაში იქონიონ გაზაფხულ-შემოდგომის პერიოდში შემოდგომა-ზამთრის ასორტიმენტის საქონლის მიღება და შემოდგომა-ზამთრის პერიოდში — გაზაფხულ-ზაფხულის ასორტიმენტის საქონლის მიღება, და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ წარუდგინონ იგი დასამტკიცებლად სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს;

— მსუბუქი მრეწველობის საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების უკეთ დაკმაყოფილების, მოთხოვნისა და ბაზრის კონიუნქტურის შესწავლის, მსუბუქი მრეწველობის საქონლის რეკლამის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშაონ დ წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ ქ. თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, რუსთავსა და გაგრაში, აგრეთვე მსხვილ რაიონულ ცენტრებში მოეწყოს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა მიერ გამოშვებული საქონლის გასაყიდი საფირმო მაღაზიები სამეურნეო ანგარიშზე.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს გააგრძელოს 2 წლამდე მოსახლეობის გადიდებული მოთხოვნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკეთესო ხარისხისა და ასორტიმენტის ახალი არასასურსათო საქონლის იმ დროებითი საცალო და საბითუმო ფასების მოქმედების ვადა, რომლებიც განისაზღვრება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 12 ივლისის № 714, 1962 წლის 17 აგვისტოს № 865 და 1972 წლის 10 აგვისტოს № 630 დადგენილებათა შესაბამისად, თუ ამ საქონლის მასობრივი წარმოების ორგანიზაციისათვის საჭირო ვადა აღემატება 1 წელს დროებითი ფასების მოქმედების დაწყებიდან.

დაწესდეს, რომ მოგების, პროდუქციის რეალიზაციისა და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის მისი მიწოდების გეგმები დროებით ფასებში რეალიზებული სახალხო მოხმარების ახალი საქონლის მწარმოებელ გაერთიანებებსა და საწარმოებს და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს განესაზღვრებათ აღნიშნული საქონლის მუდმივი ფასების საფუძველზე.

7. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 22 აპრილის № 291 დადგენილებით:

— ფართო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საკითხებში სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) პასუხისმგებლობის გაძლიერების და ამ მიმართულებით მათი ინიციატივის განვითარების, აგრეთვე ვაჭრობასთან მრეწველობის კავშირურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით აღნიშნულ გაერთიანებებს (საწარმოებს) უფლება მიეცათ თვითონვე დააწესონ მოსახლეობისათვის მისაყიდად განკუთვნილი საქონლის წარმოების მოცულობანი ნატურალური გამოხატულებით (ქსოვილებისა და საბავშვო ასორტიმენტის საქონლის გარდა) სავაჭრო ორგანიზაციათა შეკვეთების და საქონლის მიწოდების ხელშეკრულებათა საფუძველზე ნედლეულის გამოყოფილი რესურსების და საცალო ფასებში საქონლის მიწოდების დაწესებულ მოცულობათა ფარგლებში;

— ნება დაერთოთ მოკავშირე რესპუბლიკების მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებს სავაჭრო ორგანიზაციათა მოთხოვნით გამოშვებული საქონლის ასორტიმენტის შეცვლისას შეიტანონ შესაბამისი შესწორებანი საქვეუწყებო საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) საბითუმო ფასებში პროდუქციის რეალიზაციის გეგმებში აღნიშნულ სამინისტროთა მიხედვით რეალიზებული პროდუქციის საერთო მოცულობის 2 პროცენტამდე ფარგლებში, საცალო ფასებში საქონლის მიწოდების მოცულობის, მოგებისა და ბიუჯეტის გადასახდელთა თანხების შეუმცირებლად მთლიანად სამინისტროს ხაზით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 3 ივნისი, № 329.

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 291

1974 წლის 22 აპრილი

მოსკოვი, კრემლი

მსუბუქი მრეწველობის საქონლის წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების სრულყოფის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ მერვე და მეცხრე ხუთწლედების განვლილი წლების მანძილზე მნიშვნელოვნად განვითარდა მსუბუქი მრეწველობის დარგები. ამ ხნის განმავლობაში მსუბუქი მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდები თითქმის ერთიორად გაიზარდა; აშენდა და რეკონსტრუირებულია 560 საფეიქრო, სატრიკოტაჟო, სამკერვალო, ფეხსაცმლის, ფაიფურ-ქაშანურისა და სხვა საწარმო. დიდი მუშაობა განხორციელდა მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა ხელახალი ტექნიკური აღჭურვისათვის. ყოველივე ამის მეოხებით ქსოვილების წარმოება გადიდდა 30 პროცენტით, შეკერილი ნაწარმისა — 77 პროცენტით, ფეხსაცმლისა — 38 პროცენტით, ტრიკოტაჟის საცვლისა — 26 პროცენტით, ზედა ტრიკოტაჟისა — თითქმის 2,5-ჯერ, ფაიფურ-ქაშანურის ნაწარმისა — 1,9-ჯერ.

მსუბუქი მრეწველობის საქონლის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდების მიუხედავად, ამჟამად მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდასთან დაკავშირებით სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება საქონლის ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს. მაგრამ მსუბუქი მრეწველობის ყველა საქონელი თავისი ხარისხით, ასორტიმენტითა და გარეგნული სახით როდი შეესაბამება მყიდველთა გაზრდილ მოთხოვნებს. მსუბუქი მრეწველობის საწარმოები ნელა გარდაქმნიან წარმოებას მოსახლეობის მოთხოვნის ცვლილებებთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ საკმარისად მოქნილი და ეფექტიანი არ არის მრეწველობისა და ვაჭრობის კავშირურთიერთობა. ყოველივე ამის შედეგად სავაჭრო ქსელში გროვდება დიდძალი გაუსაღებელი საქონელი.

ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზია მსუბუქი მრეწველობის საქონლის წარმოების დანერგვასა და ეკონომიურ სტიმულირებაში არსებული ზოგიერთი ნაკლი. ამ დარგის საწარმოებისათვის ზემდგომი ორგანიზაციების მიერ ამჟამად დამტკიცებული წარმოების მოცულობა ცალობით, წყვილობით და სხვ., საშუალებას არ იძლევა ამ მაჩვენებელთა ფარგლებში საკმარისად იყოს გათვალისწინებული ვაჭრობის შეკვეთები და არ უზრუნველყოფს საქონლის გამოშვებას მოსახლეობის მოთხოვნისა და ბაზრის კონიუნქტურის შესაბამისად, ბოჭავს საწარმოთა ინიციატივას ახალი საქონლის გამოშვებისათვის. სამრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წველო საწარმოთა საქმიანობის შეფასება ხდება იმის ჯეროვნად გაუთვალისწინებლად, თუ რამდენად სარგებლობს მათი პროდუქცია მოსახლეობის მოთხოვნით. ამიტომ დარგის საწარმოები ბევრ შემთხვევაში უმთავრესად იმისათვის ზრუნავენ, რომ უზრუნველყონ გეგმით გათვალისწინებული ნაწარმის გამოშვება და სათანადო ყურადღებას არ უთმობენ საქონლის ხარისხის ამაღლებისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების საკითხებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) პასუხისმგებლობის გაძლიერების და ამ მიმართულებით მათი ინიციატივის განვითარების, აგრეთვე ვაჭრობასთან მრეწველობის კავშირურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით უფლება მიეცეთ აღნიშნულ გაერთიანებებს (საწარმოებს) თვითონვე დააწესონ მოსახლეობისათვის მისაყიდად განკუთვნილი საქონლის წარმოების მოცულობანი ნატურალური გამოხატულებით (ქსოვილებისა და საბავშვო ასორტიმენტის საქონლის გარდა) სავაჭრო ორგანიზაციათა შეკვეთების და საქონლის მიწოდების ხელშეკრულებათა საფუძველზე ნედლეულის გამოყოფილი რესურსების და საცალო ფასებში საქონლის მიწოდების დაწესებულ მოცულობათა ფარგლებში.

ნება დაერთოთ სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებსა და რუსეთის სფსრ საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს სავაჭრო ორგანიზაციათა მოთხოვნით გამოშვებული საქონლის ასორტიმენტის შეცვლისას შეიტანონ შესაბამისი შესწორებანი საქვეუწყებო საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) საბითუმო ფასებში პროდუქციის რეალიზაციის გეგმებში აღნიშნულ სამინისტროთა მიხედვით რეალიზებული პროდუქციის საერთო მოცულობის 2 პროცენტამდე ფარგლებში, საცალო ფასებში საქონლის მიწოდების მოცულობის, მოგებისა და ბიუჯეტის გადასახდელთა თანხების შეუმცირებლად მთლიანად სამინისტროს ხაზით.

2. იმ მიზნით, რომ მსუბუქი მრეწველობის გაერთიანებებს (საწარმოებს) შეექმნათ სავაჭრო ორგანიზაციათა შეკვეთების შესაბამისად ახალი საქონლის გამოსაშვებად წარმოების ოპერატიული გარდაქმნისათვის საჭირო პირობები, აგრეთვე გაუმჯობესდეს საქონლის ხარისხი და გაფართოვდეს მისი ასორტიმენტი:

ა) შეიქმნას სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში ახალი პროდუქციის გამოშვების ათვისების ცენტრალიზებული ფონდი მთლიანად სამინისტროს ხაზით ახალი პროდუქციის წარმოებაზე გადასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების, აგრეთვე მოგების დანაკარგების მიზეზით წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების დროებითი შემცირების შემთხვევებში მათ ასანაზღაურებლად ბრუნვის გადასახადის შემოსვლის საერთო თანხის 0,25 პროცენტის ანარიცხების ხარჯზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ გამოუყოს 1974 წელს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს 100 მილიონი მანეთი საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევი რეზერვის გასადიდებლად;

გ) შეიქმნას სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში, მოკავშირე რესპუბლიკების მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებში, რუსეთის სფსრ საფეიქრო მრეწველობის სამინისტროსა და უზბეკეთის სსრ ბამბის საწმენდი მრეწველობის სამინისტროში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდი პროდუქციის წარმოებისა და ხარისხის ტექნიკური დონის ამაღლების უზრუნველსაყოფად სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ სამუშაოთა დაფინანსებისათვის საქვეუწყებო გაერთიანებათა (საწარმოთა) და ორგანიზაციათა მოგების ანარიცხების ხარჯზე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დაწესებული ნორმატივების მიხედვით;

დ) ნება დაერთოთ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკსა და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საგარეო ვაჭრობის სამინისტროსთან შეთანხმებით აძლიონ სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კრედიტები უცხოური ვალუტით ჩვეულებრივ კომერციულ პირობებში ერთ წლამდე ვადით საზღვარგარეთ მაღალხარისხოვანი დეფიციტური ნედლეულისა და მასალების შესასყიდად და სამ წლამდე ვადით — სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის საჭირო ლიცენზიების, მოწყობილობისა და სათადარიგო ნაწილების შესასყიდად, რაც დაიფაროს მსუბუქი მრეწველობის გაერთიანებათა (საწარმოთა) მიერ გამოშვებული მზა პროდუქციისა და ნედლეულის ზეგეგმითი საექსპორტო მიწოდებით შესაბამისი უცხოური ვალუტის შემოსვლის ხარჯზე.

გეგმის გადამეტებით საექსპორტოდ მისაწოდებელი ნაწარმისა და ნედლეულის ნომენკლატურა და ხარისხი განისაზღვრება საგარეო ვაჭრობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

3. სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გააძლიერონ სავაჭრო ორგანიზაციათა პასუხისმგებლობა მსუბუქი მრეწველობის საქონლის მიწოდების თაობაზე შეკვეთების სისწორისათვის და მოსახლეობის მოთხოვნილებისადმი ამ შეკვეთების შესაბამისობისათვის. დაეკისროთ სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, მოკავშირე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროებსა და მათს ადგილობრივ ორგანოებს კონტროლი მასობრივი მოთხოვნილების იაფი საქონლის საკმაო ოდენობით გამოშვებისადმი და უფლება მიეცეთ მათ საჭიროების შემთხვევაში შეიტანონ შესწორებანი სავაჭრო ორგანიზაციათა შეკვეთებში დადგენილი წესით წარმოების შესაბამისი შეცვლით.

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ უზრუნველყოს ყველა საქვეუწყებო გაერთიანების (საწარმოს) მიერ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება ზუსტად სავაჭრო ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით.

დაევალოთ სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს:

გააძლიერონ კონტროლი იმისადმი, რომ მსუბუქი მრეწველობის გაერთიანებებმა (საწარმოებმა) არ გამოუშვან ისეთი საქონელი, რომელიც არ სარგებლობს მოსახლეობის მოთხოვნით, და დროულად მოხსნან ასეთი საქონელი;

გააუმჯობესონ სარესპუბლიკათშორისო შეტანა-გატანისა და საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის საქონლის წარმოების გალნაგების კოორდინაცია, აგრეთვე მკაცრად ადევნონ თვალყური საქონლის სარესპუბლიკათშორისო მიწოდების გეგმების სრულად და დროულად შესრულებას.

4. იმ მიზნით, რომ მრეწველობამ უფრო ღრმად შეისწავლოს მოსახლეობის მოთხოვნილება საქონელზე და გაძლიერდეს წარმოების გავლენა ამ მოთხოვნილების ფორმირებაზე, დაევალოთ სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შექმნან მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მიერ გამოშვებული საქონლის გასაყიდი საფირმო მაღაზიების ქსელი სამეურნეო ანგარიშზე.

5. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს გააძლიერონ ყურადღება მსუბუქი მრეწველობის საქონლის წარმოების, მისი ხარისხის ამაღლებისა და ასორტიმენტის საკითხებისადმი, დროულად აღმოუჩინონ მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს დახმარება ამ საკითხების გადაჭრაში, უზრუნველყონ საჭირო კონტროლი დარგის საწარმოთა საქმიანობისადმი, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ მსუბუქი მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესება სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული მეცხრე ხუთწლედის მთავარი ამოცანის გადაწყვეტის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პირობაა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ლ. ბრეჟნევი.**	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 292

1974 წლის 22 აპრილი

მოსკოვი, კრემლი

მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესებისა და მრეწველობასთან ვაჭრობის კავშირურთიერთობის სრულყოფის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

„მსუბუქი მრეწველობის საქონლის წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების სრულყოფის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 22 აპრილის № 291 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს განახორციელონ ღონისძიებანი მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ხარისხისა და ასორტიმენტის ძირეული გაუმჯობესებისათვის, ახალი მოდური საქონლისა და ხარისხის სახელმწიფონიშნიანი საქონლის გამოშვების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის.

2. უფლება მიეცეთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გააგრძელონ 2 წლამდე მოსახლეობის გადიდებული მოთხოვნის საუკეთესო ხარისხისა და ასორტიმენტის ახალი არასასურსათო საქონლის იმ დროებითი საცალო და საბითუმო ფასების მოქმედების ვადა, რომლებიც განისაზღვრება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 12 ივლისის № 714, 1962 წლის 17 აგვისტოს № 865 და 1972 წლის 10 აგვისტოს № 630 დადგენილებათა შესაბამისად, ამ საქონლის მასობრივი წარმოების ორგანიზაციისათვის საჭირო ვადა აღემატება 1 წელს დროებითი ფასების მოქმედების დაწყებიდან.

დაწესდეს, რომ მოგების, პროდუქციის რეალიზაციისა და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის მისი მიწოდების გეგმები დროებით ფასებში რეალიზებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მოხმარების ახალი საქონლის მწარმოებელ გაერთიანებებსა (ასოციაციებს) და შესაბამის სამინისტროებს (უწყებებს) განესაზღვრებათ აღნიშნული საქონლის მუდმივი ფასების საფუძველზე.

3. უფლება მიეცეთ სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებსა და რუსეთის სფსრ საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს გაზარდონ მოსახლეობის გადიდებული მოთხოვნის ახალი საქონლის გამომშვებ საქვეუწყებო გაერთიანებათა (საწარმოთა) წამახალისებელი ფონდები მატერიალური წახალისების ფონდის რეზერვის ხარჯზე.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი მეთოდების გამოყენების საკითხთა საუწყებათაშორისო კომისიას განიხილოს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს აღნიშნული რეზერვის გადიდების საკითხი.

4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან ერთად:

ა) შეიტანოს ცვლილებანი მსუბუქი მრეწველობის ახალ სახეობათა ნაწარმის ტექნიკური პირობების (ტექნიკურ აღწერილობათა) შეთანხმებისა და დამტკიცების წესში, ამასთან მხედველობაში იქონიოს, რომ საჭიროა უზრუნველყოს მათი განხილვა და დამტკიცება ერთი თვის ვადაში საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) მიერ შესაბამისი მასალების წარდგენის მომენტიდან;

ბ) დაამთავროს 1974-1975 წლებში მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის სახელმწიფო სტანდარტების გადასინჯვა, რაც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 10 ნოემბრის № 937 დადგენილებით, ამასთან მხედველობაში იქონიოს, რომ ამ სახსტანდარტებში დაწესდეს ერთგვაროვანი პროდუქციის ჯგუფებისათვის საერთო ძირითადი ტექნიკური მოთხოვნები და შეტანილ იქნეს მოთხოვნები დადგენილი წესით დამტკიცებული ნიმუშებისადმი (ეტალონებისადმი) გამოშვებული პროდუქციის სავალდებულო შესაბამისობის შესახებ, აგრეთვე ნედლეულისა და მასალებისადმი წაყენებული მოთხოვნები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის გამოსაშვებად გამოყენებული ნედლეულისა და მასალების სახელმწიფო სტანდარტების გადასინჯვა — იმავე ვადებში.

5. დაწესდეს, რომ მსუბუქი მრეწველობის საქონლის საბითუმო გაყიდვის ბაზრობები ეწყობა ყოველწლიურად მაის-ივლისში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა დაუგზავნოს ყოველწლიურად დაგეგმილი წლის წინა წლის 10 თებერვლამდე სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს პროდუქციის წარმოების მოცულობის წინასწარი დავალებანი, ბამბის, შალის, სელის, ქიმიური ბოჭკოების, ტყავის ნედლეულისა და ქსოვილების ლიმიტები, ხოლო სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს — მსუბუქი მრეწველობის საქონლის საბაზრო და არასაბაზრო ფონ-

2968

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დები, რათა ამ სამინისტროებმა უზრუნველყონ რესპუბლიკების შესაბამისი საწარმოებისათვის, ხოლო ამ უკანასკნელებმა — საწარმოებისა და საბითუმო ბაზებისათვის აღნიშნული მაჩვენებლების წინასწარ დავალებათა დაგზავნა საბითუმო ბაზრობის დაწყებამდე 2 თვით ადრე მაინც.

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განაზოგადონ ერთი თვის ვადაში მსუბუქი მრეწველობის საქონლის საბითუმო გაყიდვის ბაზრობათა ჩატარების შედეგები და წარუდგინონ შესაბამისი წინადადებანი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს მომდევნო წლის წარმოების გეგმების შემუშავებისას მათი გათვალისწინებისათვის.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ და სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ შეიმუშაონ და 1974 წლის 1 მაისამდე დაამტკიცონ დებულება მსუბუქი მრეწველობის საქონლის საბითუმო გაყიდვის სარესპუბლიკათშორისო და რესპუბლიკურ ბაზრობათა ორგანიზაციისა და ჩატარების წესის შესახებ.

6. დაევალოთ სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ:

საბითუმო ბაზების როლის ამაღლებას ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, ქსოვილებითა და მსუბუქი მრეწველობის სხვა საქონლით საცალო ვაჭრობის უზრუნველყოფაში მოსახლეობის მოთხოვნისადმი შესაბამისი ასორტიმენტით;

საბითუმო ბაზების პასუხისმგებლობის გაძლიერებას საქონლის წარმოების თაობაზე შეკვეთების სისწორისა და დასაბუთებულობისათვის, საცალო სავაჭრო ქსელში შეტანილი საქონლის რეალიზაციისათვის, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ საჭიროა ქვეყნის ერთ რაიონებში თავის დროზე არარეალიზებული საქონლის ოპერატიული გადანაწილება სხვა რაიონებში რეალიზაციისათვის.

მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა რიტმული მუშაობის და სეზონური საქონლის შეუფერხებელი ვაჭრობის უზრუნველყოფის მიზნით დაევალოთ სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უზრუნველყონ საბითუმო ბაზების მიერ საქონლის მიღება მთელი წლის განმავლობაში იმ ნუსხის მიხედვით, რომელსაც აწესებს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ მოამზადოს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან შეთანხმებით დაამტკიცოს სავაჭრო (საბითუმო და საცალო) ორგანიზაციებში მსუბუქი მრეწველობის საქონლის მარაგის დასაბუთებული ნორმატივები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქონლის დახარისხების გაუმჯობესებასა და მის თანაბარზომიერ მიწოდებას სავაჭრო ქსელში, აგრეთვე სეზონური საქონლის მიღებას მთელი წლის განმავლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი მეთოდების გამოყენების საკითხთა საუწყებათშორისო კომისიას შეიტანოს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე სავაჭრო ორგანიზაციების გადაყვანის მოქმედ მეთოდიკურ მითითებებში დაზუსტებანი ამ დადგენილებით გათვალისწინებულ საბითუმო სავაჭრო ბაზების როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლებასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით შეიტანოს ცვლილებანი სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკთა პრემირების დებულებაში, ამასთან მხედველობაში მიიღოს სავაჭრო ბაზებისა და ვაჭრობის სხვა საწარმო-ორგანიზაციების პასუხისმგებლობის გაძლიერება საქონლის წარმოების თაობაზე მრეწველობისათვის წარდგენილი თავისი შეკვეთების დასაბუთებულობისათვის, შეკვეთილი საქონლის დროულად გატანისა და მის მიღებაზე უარისთქმის ვადების დაცვისათვის.

7. დაევალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს შეიმუშაონ და დაამტკიცონ დებულება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდის შესახებ და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მონაწილეობით — დებულება ახალი პროდუქციის გამოშვების ათვისების ფონდის შესახებ, რაც იქმნება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 22 აპრილის № 291 დადგენილების შესაბამისად.

8. ნება დაერთოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს აძლიოს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) კრედიტები:

ა) საფირმო მაღაზიების ასაშენებლად და მოსაწყობად 6 წლამდე ვადით, იმ პირობით, რომ დანახარჯები ანაზღაურდება და კრედიტი დაიფარება მოგების ხარჯზე აღნიშნული ვადის განმავლობაში;

ბ) ახალი ტექნიკის ათვისებისა და დანერგვის ხარჯებისათვის, რომლებიც ფინანსდება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდის ხარჯზე, იმ შემთხვევებში, როცა ახალი ტექნიკის ათვისება და დანერგვა უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე გათვალისწინებულია გეგმით.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა აძლიოს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებს, რუსეთის სფსრ საფეიქრო მრეწველობის სამინისტროსა და უზბეკეთის სსრ ბამბის საწმენდი მრეწველობის სამინისტროს კრედიტები მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდის სახსრების დაფინანსებული ხარჯებისათვის, იმ შემთხვევებში, თუ დაგეგმილ წელს დროის მიხედვით ერთმანეთს არ დაემთხვევა ამ ფონდში შემოსული თანხები და ფონდის დანახარჯები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესდეს, რომ საწარმოები და სამინისტროები აღნიშნულ კრედიტებს დაფარავენ და მათ პროცენტებს გადაიხდიან მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდის სახსრების ხარჯზე კალენდარული წლის ბოლომდე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

37 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 26 მარტის № 178 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

„ქ. თბილისის ყველა სახეობის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის (მეტროპოლიტენის გარდა) ხელმძღვანელობის ცენტრალიზაციის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 26 მარტის № 178 დადგენილების მე-2 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად „თბილისის სატრანსპორტო-საწარმოო გაერთიანებას“ ეწოდოს: „თბილისის სატრანსპორტო გაერთიანება“.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შევარდნაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
გ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1974 წ. 18 ივნისი, № 350.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

38 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დამატებითი გარდამავალი წითელი დროშების დაწესების შესახებ

„1974 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საქართველოს მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 31 იანვრის № 100 დადგენილების დამატებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

დაწესდეს დამატებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები დიპლომებითა და ფულადი პრემიებით:

საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკებისა
და ავტონომიური ოლქისათვის — 1;
საქართველოს სსრ რაიონებისათვის — 5;

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**
საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**	საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჟ. შარტავა.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 3 ივნისი, № 328.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

39 საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშისა და ფულადი პრემიების დაწესების შესახებ

„კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1967 წლის 28 იანვრის № 52 დადგენილების დამატებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს სსრ პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

დაწესდეს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით, ერთი მეორე და ერთი მესამე ფულადი პრემიები მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სამმართველოთა დასაჯილდოებლად ნახევარი წლისა და წლის მუშაობის შედეგების მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 22 მაისი, № 255.

ეროვნული ბიბლიოთეკა

40 „1974 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისა და გისათვის საქართველოს მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 31 იანვრის № 100 დადგენილების და „1974 წელს მიწათმოქმედების და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ“ № 89 დადგენილების გამოყენების ზოგიერთი საკითხის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 31 იანვრის № 100 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებითა და დიპლომებით დაჯილდოებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს პრემიები მიეცემათ:

— სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოებსა და ორგანიზაციებს — ზეგეგმითი მოგების ან პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე, რომელიც საწარმომ ან ორგანიზაციამ მიიღო კალენდარული წლის დამდეგიდან, ხოლო დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, არასაკმარისი ზეგეგმითი მოგების დროს — საწარმოს მოგების თავისუფალი ნაშთის ხარჯზე;

— სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს — დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ეკონომიის ხარჯზე, ხოლო ამ სახსრების უკმარობისას — მთლიანად შესაბამისი სამინისტროს (უწყების) ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ეკონომიის ხარჯზე.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მონაწილე კოლექტივებს, რომლებიც დაჯილდოვდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებითა და დიპლომებით, პრემიები მიეცემათ იმავე ოდენობით, როგორც იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც წინათ (1973 წლამდე) რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით მიეკუთვნათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები.

2. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 31 იანვრის

№ 100 დადგენილებით დაწესდა, რომ კოლექტივებს, რომლებმაცარიელი ბიბლიოთეკა სრეს და შეასრულეს დაძაბული შემხვედრი გეგმები და უზრუნველყვეს ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვება დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშების მინიჭებისას მისაცემი პრემიების ოდენობა უდიდდებათ 25 პროცენტამდე.

პრემიების აღნიშნულ გადიდებას შეიძლება მოხმარდეს იმ ზეგეგმითი მოგების 40 პროცენტამდე, რომელიც მიღებულია ზეგეგმითი პროდუქციის რეალიზაციით დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით დაზოგილი ნედლეულისა და მასალების ხარჯზე (შემხვედრი გეგმის ჩაუთვლელად).

3. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 31 იანვრის № 89 დადგენილების შესაბამისად კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც დაჯილდოვდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით, პრემიები მიეცემათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1966 წლის 28 ივლისის № 616 დადგენილებით გათვალისწინებული ოდენობით.

4. შენარჩუნებულ იქნეს 1974 წელს საქართველოს სსრ სამინისტროების (უწყებების) და დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების 1973 წელს დაწესებული გარდამავალი წითელი დროშების რაოდენობა რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივების წასახალისებლად კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით და საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისათვის — წლის მუშაობის შედეგების მიხედვით.

5. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 7 იანვრის №№ 18 და 19 დადგენილებებით მიმდინარე ხუთწლედის ბოლომდე გაგრძელდა იმ გადაწყვეტილების მოქმედების ვადა, რომ გაუდიდდეთ სამინისტროებს სახსრების ოდენობა საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთათვის პრემიების მისაცემად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილებით გათვალისწინებული ხელფასის საერთო ფონდის 0,05-დან 0,1 პროცენტამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული სახსრები მოხმარდება სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთათვის — საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთათვის პრემიების მიცემას, აგრეთვე საუკეთესო მუშაკთა დასაჯილდოებლად სამახსოვრო საჩუქრების შეძენას.

საქართველოს სსრ იმ საწარმოო სამინისტროთა და უწყებათა ნუსხა, რომელთა საწარმოებსა და ორგანიზაციებში დიდდება სახსრების ოდენობა მუშაკთათვის პრემიების მისაცემად და სამახსოვრო საჩუქრების შესაძენად ხელფასის საერთო ფონდის 0,05-დან 0,1 პროცენტამდე, თან ერთვის (დანართი № 1).

6. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 31 იანვრის № 100 დადგენილების შესაბამისად მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ორგანიზაციების კოლექტივების დასაჯილდოებლად დაწესებული საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები დიპლომებითა და ფულადი პრემიებით განაწილდეს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით № 2 დანართის თანახმად.

7. დამტკიცდეს სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მიერ დამტკიცებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების მეთოდიკური რეკომენდაციებისა და თემაზე „სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების პრაქტიკის გაუმჯობესება (მისი შედეგების შესადარობა და შეფასების კრიტერიუმი)“ მოწვეული სრულიად საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის წინადადებათა შესაბამისად შემუშავებული მაჩვენებლები, რომელთა მიხედვითაც შეჯამდება სამინისტროებსა, უწყებებსა, ქალაქებსა, საქალაქო რაიონებსა, სასოფლო რაიონებსა, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქს შორის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები № 3 დანართის თანახმად.

8. წინადადება მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს პროფკავშირთა შესაბამის საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებთან და დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად ერთი თვის ვადაში წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს 1974 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრი ვალდებულებანი მაჩვენებლების მიხედვით ამ დადგენილების მე-7 პუნქტის თანახმად, კვარტალობრივი დაყოფით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ მოაწყოს სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების აღრიცხვა ამ დადგენილებით დამტკიცებული მაჩვენებლების შესაბამისად და საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის არა უგვიანეს 15 რიცხვისა წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს ანგარიშები მათი შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 28 მაისი, № 281.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ
საბჭოს 1974 წლის 28 მაისის № 281
დადგენილების დანართი № 1

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ საწარმოო სამინისტროებისა და უწყებებისა, რომელთა საწარმოებსა და ორგანიზაციებში დიდდება სახსრების ოდენობა საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთათვის პრემიების მისაცემად ხელფასის საერთო ფონდის 0,05-დან 0,1 პროცენტამდე

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი (პოლიგრაფიული მრეწველობის საწარმოები და ორგანიზაციები).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველო

საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა" (მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციების გარდა)

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური
საბჭოს 1974 წლის 28 მაისის № 281
დადგენილების დანართი № 2

განაწილება

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებისა, დიპლომებისა და ფულადი პრემიებისა საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს შორის

სამინისტროთა და უწყებათა დასახელება	დროშების რაოდენობა
1. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	2
2. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინიტსრო . .	1
3. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	2
4. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო .	2
5. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო . .	3
6. საქართველოს სსრ ხე-ტყის და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	2
7. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	2
8. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	2
9. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო . .	4
10. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	2
11. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო	1
12. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო . .	2
13. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო	3
14. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო	3
15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო	1
16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველო . .	1
17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობ-პროდუქტების მომარაგება-გასაღების მთავარი სამმართველო	1
18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი	1
19. თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველო	1
20. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო . . .	1
21. საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველო . . .	1
22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველო	1
23. ცეკავშირი	3
24. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი	1
25. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი	1
26. საქართველოს სსრ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანება	1
27. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო (უმაღლესი სასწავლებლებისათვის) . .	1
28. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო (საშუალო სკოლებისათვის)	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროთა და უწყებათა დასახელება	დროშების რაოდენობა
29. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია (სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისათვის)	1
30. საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროებისა და სხვა ორგანიზაციათა კოლექტივებისათვის უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემებზე სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის	4

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ
საბჭოს 1974 წლის 28 მაისის № 281
დადგენილების დანართი № 3

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი

1974 წელს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესაჯამებლად საქართველოს სსრ საწარმოების (ორგანიზაციების), კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებს შორის

ძ ი რ ი თ ა დ ი მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი:

— პროდუქციის რეალიზაციის გეგმების შესრულების, შესრულებულ სამუშაოთა (სამშენებლო ორგანიზაციები და სხვ.) მოცულობის დონე და პროდუქციის რეალიზაციის ოდენობის (სამუშაოთა შესრულების მოცულობის) ზრდა წინა პერიოდთან შედარებით;

— პროდუქციის გამოსავლიანობის გადიდება საწარმოო ფართობის ერთეულზე (სოფლის მეურნეობისათვის);

— სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლება;

— პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება (სამუშაოთა შესრულება);

— შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმის შესრულება, შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის ზრდის ტემპების თანაფარდობა;

— წარმოების გეგმის (წმინდა შემოსავლის) შესრულება და რენტაბელობის დონე (მოგების შეფარდება საწარმოო ფონდებთან); დაგეგმილ-ზარალიანი საწარმოებისათვის — პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით სახსრების ეკონომიის ოდენობა;

— კოოპერირებულ მიწოდებათა გეგმების შესრულება.

ა ღ რ ი ც ხ ვ ა დ ი მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი:

— ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის ეკონომიის შედეგად მიღებული ზეგეგმითი პროდუქციის ოდენობა;

— პროდუქციის მთლიანი წარმოების მოცულობა (სოფლის მეურნეობისათვის — 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე გაანგარიშებით);

— ახალი ტექნიკის გეგმის შესრულება;

— სამრეწველო ობიექტების, საცხოვრებელი სახლების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, სკოლების, საავადმყოფოების საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო, კომუნალური მომსახურებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საწარმოების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმების შესრულება;

— შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და წარმოების კულტურის მდგომარეობა;

— საშეფო დახმარების გაწევა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შრომის, საწარმოო დისციპლინისა და კადრების დენადობის მდგომარეობა.

ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ავტონომიურ ოლქსა, რესპუბლიკის ქალაქებსა, საქალაქო რაიონებსა და რაიონებს შორის

ძირითადი მაჩვენებლები:

— პროდუქციის რეალიზაციის სახელმწიფო გეგმების, სოციალისტური ვალდებულებებისა და შემხვედრი გეგმების შესრულება;

— შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი წინა პერიოდთან შედარებით, მათ შორის შრომის ნაყოფიერების ამაღლების ხარჯზე;

— მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარება და ამის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების ყველაზე დიდი მატების მიღწევა;

—კაპიტალური მშენებლობისა და სამრეწველო ობიექტების, საცხოვრებელი სახლების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, სკოლების, საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო, კომუნალური მომსახურებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საწარმოების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმების შესრულება;

— ყველა სახეობის ტრანსპორტით ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულება;

— მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულება;

— საცალო საქონელბრუნვის სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულება;

— სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულება;

— სახელმწიფოსათვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულება.

აღრიცხვადი მაჩვენებლები:

ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით სახელმწიფო გეგმების შემსრულებელი და არაშემსრულებელი საწარმოების (ორგანიზაციების), კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რაოდენობა;

— სოფლისათვის დახმარების გაწევის ღონისძიებათა განხორციელება;

— მოწინავე საწარმოების მიერ ჩამორჩენილი საწარმოებისათვის დახმარების გაწევის ღონისძიებათა განხორციელება;

— საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს შორის

ძირითადი მაჩვენებლები:

— პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების სახელმწიფო გეგმების, სოციალისტური ვალდებულებებისა და შემხვედრი გეგმების შესრულება;

— შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი წინა პერიოდთან შედარებით და შრომის ნაყოფიერებასა და საშუალო ხელფასს შორის თანაფარდობის სისწორე;

— მოგების გეგმის შესრულება და მისი ზრდის ტემპი;

— ფონდუკუგების ზრდის ტემპი;

— საწარმოო სიმძლავრეთა საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმის შესრულება და მათი ათვისება;

— მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის ღონისძიებათა განხორციელება.

აღრიცხვადი მაჩვენებლები:

— ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით სახელმწიფო გეგმების შემსრულებელი და არშემსრულებელი საწარმოებისა და ორგანიზაციების რაოდენობა;

— გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა წინადადებების დანერგვის გეგმის შესრულება;

— სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების მდგომარეობა.

შენიშვნა:

საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სოციალისტური შეჯიბრების ძირითად მაჩვენებელთა შესრულების ანგარიშებში შეტანილ უნდა იქნეს ცნობები საგეგმო მაჩვენებელთა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შესახებ დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, სათანადო საკავშირო სამინისტროს (უწყების) და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული შეჯიბრების პირობების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

41 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანიზაციისა და საქმიანობის შემდგომი სრულყოფის შესახებ

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის როლი სამეურნეო დავის გადაწყვეტის დროს კანონმდებლობის სწორად და ერთგვაროვნად გამოყენების უზრუნველყოფაში, გაძლიერდეს მისი ზემოქმედება საწარმოებზე, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე სახელმწიფო დისციპლინის დაცვის, საგეგმო დავალებათა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების საქმეში, აგრეთვე ამაღლდეს სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის დონე კანონიერების მტკიცედ დაცვის უზრუნველსაყოფად, და „სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 17 იანვრის № 60 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ.

2. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 17 იანვრის № 60 დადგენილებით დაწესდა, რომ მოკავშირე რესპუბლიკებში მთავარი არბიტრებისა და მთავარ არბიტრთა მოადგილეების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა გადასინჯვას ზედამხედველობის წესით ახორციელებენ სახელმწიფო არბიტრაჟის ზემდგომი ორგანოები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის დებულებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟების დებულებების შესაბამისად.

3. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ.

4. შენარჩუნებულ იქნეს სახელმწიფო არბიტრაჟის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და დაფინანსების მოქმედი წესი.

5. გაუდიდდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს ხელფასის პერსონალური დანამატის ლიმიტი 300 მანეთით თვეში.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო არბიტრაჟმა მიიღოს ზომები სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესებაზე გავლენის გაძლიერებისათვის, სამეურნეო კანონმდებლობის პროპაგანდის უფრო აქტიურად განხორციელებისათვის, ამასთან შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთანხმოს თავისი საქმიანობა ამ დარგში საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტროს.

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 14 მაისი, № 234.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1974 წლის 14 მაისის № 234
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი (საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი) არის საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო და ექვემდებარება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისე სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟს.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი წყვეტს სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის წამოჭრილ სამეურნეო დავას დაწესებული კომპეტენციის შესაბამისად.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი ამოცანები ის არის, რომ:

უზრუნველყოს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ქონებრივი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა სამეურნეო დავის გადაწყვეტის დროს;

ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შორის რაციონალური სამეურნეო კავშირურთიერთობის განვითარებას, ხელშეკრულების როლის გაძლიერებას მათს ურთიერთობაში და მათი თანამშრომლობის განვითარებას სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებაში;

აქტიურად მოახდინოს ზემოქმედება სამეურნეო დავის გადაწყვეტისას საწარმოებზე, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე, რათა დაიცვან სოციალისტური კანონიერება და სახელმწიფო დისციპლინა საგეგმო დავალებათა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების დროს, იბრძოლონ კუთხურობისა და უწყებრიობის გამოვლინებათა წინააღმდეგ;

უზრუნველყოს სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვა საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობაში, კანონმდებლობის ერთგვაროვნად და სწორად გამოყენება სახელმწიფო არბიტრაჟისა და საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა არბიტრაჟების მიერ სამეურნეო დავის გადაწყვეტის დროს;

სისტემატურად შეისწავლოს და განაზოგადოს საარბიტრაჟო პრაქტიკა და ამის საფუძველზე შეიმუშაოს წინადადებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ სამეურნეო ურთიერთობის სრულყოფას, აგრეთვე ნაკლოვანებათა აღმოფხვრას საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობაში.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და დადგენილებებით, სხვა ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის საინსტრუქციო მითითებებით.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი:

ა) უზრუნველყოფს სამეურნეო დავის სწორად და დროულად გადაწყვეტას, ამ დავის განხილვისას ქონებრივი სანქციების განუხრელად გამოყენებას იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ საგეგმო დავალებებსა და სახელშეკრულებო ვალდებულებებს;

ბ) შეისწავლის და განაზოგადებს სამეურნეო დავის მასალებს ცალკეული კატეგორიებისა და მეურნეობის დარგების მიხედვით; შეისწავლის დავის წარმოშობის მიზეზებს, შეიმუშავებს და განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს მათი თავიდან აცილების მიზნით და დავის არბიტრაჟამდელი მოგვარების წესის მტკიცედ დაცვის უზრუნველსაყოფად;

გ) განაზოგადებს საქართველოს სსრ არბიტრაჟის ორგანოების მიერ განხილული დავის მასალების მიხედვით სამეურნეო კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფისათვის და საჭირო შემთხვევებში შეიტანს მათ შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის განსახილველად; პროპაგანდას გაუწევს სამეურნეო კანონმდებლობას;

დ) აცნობებს დავის განხილვის დროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სამეურნეო საქმიანობაში გამოვლინებულ არსებით ნაკლოვანებათა შესახებ მათს ხელმძღვანელებს ან ზემდგომ ორგანოებს, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სათანადო ზომების მისაღებად; გადასცემს საჭირო შემთხვევებში შესაბამის ორგანოებს მასალებს, რათა განიხილონ საკითხი დამნაშავე პირთათვის დისციპლინური სასჯელის დადების ან ფულადი დარიცხვის წარმოების ანდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მათი დადგენილი წესით მიცემის შესახებ.

საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები მოვალენი არიან მიიღონ ზომები საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და ერთი თვის ვადაში აცნობონ მას მიღებული ზომების შესახებ;

ე) მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ საგეგმო დავალებათა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისას დაშვებული სოციალისტური კანონიერებისა და სახელმწიფო დისციპლინის ყველაზე სერიოზული დარღვევების შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) შეისწავლის საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა არბიტრაჟების მუშაობის გამოცდილებას, ინსტრუქტაჟს გაუწევს მათ დავის გადაწყვეტის პრაქტიკის საკითხებზე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის საინსტრუქციო მითითებანი სამეურნეო დავის გადაწყვეტის პრაქტიკის საკითხებზე სავალდებულოა საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა არბიტრაჟებისათვის;

ზ) უზრუნველყოფს არბიტრაჟის კადრების გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებისათვის საჭირო პირობების შექმნას, ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდა სპეციალისტების დაწინაურებას, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი; დადგენილი წესით დააჯილდოვებს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაკებს საპატიო სიგელებით და გამოიყენებს სხვა სახის წახალისებებს;

თ) მოაწყობს მუშაობას საარბიტრაჟო სტატისტიკის წარმოებისათვის და გამოიყენებს მის მონაცემებს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე სამეურნეო კანონმდებლობის სრულყოფისათვის წინადადებათა მოსამზადებლად.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით ამტკიცებს რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების მიერ გამოშვებული და ძირითადად რესპუბლიკის შიგნით მოხმარებული ცალკეულ სახეობათა პროდუქციისა და საქონლის მიწოდების განსაკუთრებულ პირობებს.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი გადაწყვეტს:

ა) დავას, რომელიც წამოიჭრება საქართველოს სსრ საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის ხელშეკრულებათა დადებისა და შესრულების დროს და სხვა საფუძვლების მიხედვით;

ბ) დავას, რომელიც წამოიჭრება ისეთ ხელშეკრულებათა დადების დროს, როდესაც თანხა არ აღემატება 5 მილიონ მანეთს, აგრეთვე ისეთ ხელშეკრულებათა შესრულების დროს და სხვა საფუძვლების მიხედვით, როდესაც სარჩელის თანხა არ აღემატება 50 ათას მანეთს, თუ:

მხარეები ან ერთ-ერთი მხარე არის საკავშირო დაქვემდებარების საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება და განლაგებულია საქართველოს სსრ ტერიტორიაზე;

ერთი მხარე არის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმო, ორგანიზაცია და დაწესებულება, ხოლო მეორე — სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმო, ორგანიზაცია და დაწესებულება, მიუხედავად მხარეების დაქვემდებარებისა;

გ) დავას, რომელიც წამოიჭრება რკინიგზის მისასვლელი ლიანდაგების ექსპლუატაციის შესახებ ხელშეკრულებათა დადების დროს, როდესაც ტვირთბრუნვა დღე-ღამეში არ აღემატება 100 ვაგონს;

დ) დავას არაქონებრივი ხასიათის სარჩელების მიხედვით, აგრეთვე დავას, რომელიც წამოიჭრება საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფონდის გამოყენებასთან დაკავშირებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) დავას, რომელსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გადასცემს განსახილველად საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟს;

ვ) დავას, რომელსაც სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟი გადასცემს განსახილველად საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების შესაბამისად.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი დავას განიხილავს სახელმწიფო არბიტრაჟების მიერ სამეურნეო დავის განხილვის იმ წესების შესაბამისად, რაც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ;

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟში გადაწყვეტას არ ექვემდებარება:

ა) დავა ერთი სამინისტროს, უწყების, კოოპერაციული სისტემის ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ერთი სამმართველოს ან განყოფილების საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შორის;

ბ) კოლმეურნეობებისა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების და სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების დავა სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან, აგრეთვე ერთმანეთს შორის;

გ) დავა გადასახადებისა და არასაგადასახადო გადასახდელთა გამო, რომელთა გადახდევინება სახელმწიფო ბიუჯეტში წარმოებს გადასახადებისა და არასაგადასახადო გადასახდელთა გადახდევინების დებულების შესაბამისად;

დ) დავა ბანკების მიერ იმ ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებული ოპერაციების გამო, რომ ფინანსური კონტროლი გაუწიონ იმას, რათა საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა სწორად გამოიყენონ კაპიტალური დაბანდებისათვის გამოყოფილი სახსრები (გარდა არბიტრაჟის ორგანოებში განსახილველი დავისა ხელშეკრულების მიხედვით მისაწოდებელი მოწყობილობის, მანქანებისა და სხვა, ძირითადი ფონდებისათვის მიკუთვნებულ, მატერიალურ ფასეულობათა ღირებულების გადახდის შესახებ);

ე) დავა, რომელიც წამოიჭრება სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების შეთანხმების დროს;

ვ) დავა მისაწოდებელი პროდუქციის ფასების დაწესების შესახებ, აგრეთვე გაწეული მომსახურებისათვის ტარიფების დაწესების შესახებ, თუ ეს ფასები და ტარიფები მოქმედი კანონმდებლობის თანახმად არ შეიძლება დაწესდეს მხარეთა შეთანხმებით;

ზ) დავა, რომელიც წამოიჭრება ისეთ ხელშეკრულებათა დადების დროს, რომელთაც საფუძვლად არ უდევს ორივე მხარისათვის სავალდებულო საგგმო დავალება, თუ სხვა პირობა დათქმული არ არის კანონმდებლობით ან მხარეთა შეთანხმებით;

თ) დავა 100 მანეთზე ნაკლები თანხის გამო;

ი) სხვა დავა, რომლის გადაწყვეტა მოქმედი კანონმდებლობით განეკუთვნება სხვა ორგანოების კომპეტენციას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი დავას განიხილავს დაინტერესებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა განცხადებების ან ზემდგომ ორგანოთა განცხადებების მიხედვით, რომლებიც შეტანილია საქმეუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ინტერესებისათვის.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი აღძრავს საქმეებს საკუთარი ინიციატივით, თუ მოიპოვება ცნობები იმის შესახებ, რომ საწარმოებმა, ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა დაარღვიეს სოციალისტური კანონიერება და სახელმწიფო დისციპლინა საგეგმო დავალებათა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების დროს. ამ შემთხვევებში გადახდევინებული საუპირო (ჯარიმა, საურავი) მთლიანად ამ ნაწილობრივ გადაირიცხება საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში ან იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სასარგებლოდ, რომელთა ინტერესებისათვისაც აღძრულია საქმე.

11. საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟი ნაწილობრივ ან გარკვეულ ნაწილში ბათილად ცნობს ხელშეკრულებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონებს, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებსა და განკარგულებებს, სახელმწიფო გეგმებსა და დავალებებს, და ავალებს მხარეებს შეიტანონ შესაბამისი ცვლილებანი დადებულ ხელშეკრულებებში.

12. დავა საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის განსახილველად შეიძლება გადაეცეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მხარეები მიიღებენ ზომებს მისი უშუალო მოგვარებისათვის. ასეთი ზომების მიღების დამადასტურებელი საბუთების წარუდგენლობის შემთხვევაში სასარჩელო განცხადება განსახილველად არ მიიღება და დაუბრუნდება მოსარჩლეს.

13. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟში დავას განიხილავენ სახელმწიფო არბიტრი და მხარეთა წარმომადგენლები სახელმწიფო არბიტრის თავმჯდომარეობით.

რთულ საქმეთა განსახილველად მთავარ არბიტრს შეუძლია არბიტრაჟის შემადგენლობაში დამატებით შეიყვანოს ორი სახელმწიფო არბიტრი.

მხარეთა წარმომადგენლები საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟში არიან საწარმოთა, ორგანიზაციათა დაწესებულებათა ხელმძღვანელები ან ხელმძღვანელთა მოადგილეები, ანდა მათი რწმუნებით აღჭურვილი ამ საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა სხვა მუშაკები, აგრეთვე მოდავე მხარეთა მიმართ ზემდგომი ორგანოების თანამდებობის პირნი.

14. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟს თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით შეუძლია სავალდებულოდ არ მიიჩნიოს სახელმწიფო არბიტრაჟის სხდომაზე მხარეთა წარმომადგენლების გამოცხადება, თუ საქმის მასალები საშუალებას იძლევა გადაიჭრას დავა მხარეთა წარმომადგენლების დაუსწრებლად.

15. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟს უფლება აქვს შეწყვიტოს საქმის წარმოება, თუ მოსარჩლემ არასაპატიო მიზეზით არ წარმოადგინა დავის გადაწყვეტისათვის საჭირო მოთხოვნილი მასალები ან მოსარჩლის წარმომად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენელი არ გამოცხადდა არბიტრაჟის სხდომაზე გამოძახებით და მისი გამოუცხადებლობა აბრკოლებს საქმის განხილვას.

16. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟს უფლება ენიჭება:

ა) დავის გადაწყვეტისას ახსნა-განმარტების მისაცემად გამოუძახოს მოდავე საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მათ მიმართ ზემდგომ ორგანოთა თანამდებობის პირებს, აგრეთვე იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა თანამდებობის პირებს, რომლებიც არ არიან მხარეები საქმის გამო, თუ მათს ახსნა-განმარტებებს არსებითი მნიშვნელობა ექნება დავის გადასაწყვეტად;

ბ) მოსთხოვოს საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ისეთი დოკუმენტების, ცნობებისა და დასკვნების წარდგენა, რომლებიც საჭიროა დავის გადასაწყვეტად;

გ) დანიშნოს ექსპერტიზა;

დ) გაეცნოს საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში მასალებს, რომლებიც საჭიროა დავის გადასაწყვეტად.

საჭირო შემთხვევებში დავა შეიძლება განხილულ იქნეს უშუალოდ იმ საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, რომლებიც საქმის გამო მხარეებს წარმოადგენენ.

17. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებას იღებენ სახელმწიფო არბიტრი და დავის განხილვაში მონაწილე მხარეთა წარმომადგენლები არბიტრაჟის სხდომაზე საქმის ყველა გარემოების განხილვის შედეგად.

სახელმწიფო არბიტრი ხელს უწყობს იმას, რომ მხარეთა წარმომადგენლებმა მიაღწიონ შეთანხმებას დავის გამო. თუ მხარეთა შეთანხმება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, საქმის მასალებს, ან თუ მხარეთა შორის არის უთანხმოება ანდა საქმე განხილულ იქნა ერთი ან ორივე მხარის წარმომადგენელთა მონაწილეობის გარეშე, გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფო არბიტრი.

ამ დებულების მე-13 პუნქტის მეორე აბზაცით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადაწყვეტილებას იღებენ სახელმწიფო არბიტრები ხმის უმრავლესობით.

მიღებული გადაწყვეტილება ცხადდება სხდომაზე საქმის განხილვის შემდეგ. განსაკუთრებით რთულ საქმეთა გამო სახელმწიფო არბიტრს შეუძლია გადადოს გადაწყვეტილების მიღება არა უმეტეს 3 დღით.

გადაწყვეტილებას საქმის გამო ხელს აწერს სახელმწიფო არბიტრი, რომელიც თავმჯდომარეობდა სხდომას.

18. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟს საქმის გამო გადაწყვეტილების გამოტანისას უფლება აქვს:

ა) შეამციროს განსაკუთრებულ შემთხვევებში იმ საუპიროს (ჯარიმის, საურავის) ოდენობა, რომელიც უნდა გადახდეს ვალდებულების დამრღვევ მხარეს;

ბ) გადაახდევინოს ხელშეკრულების პირობების უხეშად დამრღვევ მხარეს საუპირო (ჯარიმა, საურავი) 50 პროცენტამდე გადიდებული ოდენობით, ამას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან გადახდევინებული თანხების ეს ნაწილი გადარიცხოს საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში;

გ) გადაახდევინოს საკუთარი ინიციატივით საუპირო (ჯარიმა, საურავი) საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებმაც არ შეასრულეს საგეგმო დავალებანი და სახელშეკრულებო ვალდებულებანი, თუ ასეთი მოთხოვნები სანქციების შესახებ წარდგენილი არა აქვს მოსარჩლეს იმ ვარაუდით, რომ აღნიშნული თანხები გადაირიცხოს მხარის სასარგებლოდ ან საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში;

დ) ჩარიცხოს საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში მთლიანად ან ნაწილობრივ გადასახდევინებელი საუპირო (ჯარიმა, საურავი), თუ დავის გადაწყვეტის დროს გამოირკვა, რომ მოსარჩლემ დაუშვა კანონმდებლობის დარღვევები, რომლებიც არ ამცირებენ მოპასუხის პასუხისმგებლობას;

ე) სამეურნეო დავის გადაწყვეტის დროს გადაახდევინოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებმაც დაუშვეს პრეტენზიათა წარდგენისა და განხილვის დაწესებული ვადების დარღვევა, და გადარიცხოს საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში სარჩელის თანხის 2 პროცენტი, მაგრამ არა ნაკლებ 10 მანეთისა და არა უმეტეს 1000 მანეთისა.

19. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებანი სამეურნეო დავის გამო საბოლოოა და სავალდებულოა შესასრულებლად ყველა სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი საწარმოსათვის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის.

სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულება ხდება ბრძანების საფუძველზე. ბრძანება გადამხდევინებელს, როგორც წესი, ეძლევა გადაწყვეტილებასთან ერთად. სახელმწიფო არბიტრაჟს უფლება აქვს ბრძანება ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ უშუალოდ გაუგზავნოს ბანკს გადამხდელის ადგილსამყოფელის მიხედვით.

სახელმწიფო არბიტრაჟის ბრძანებას აღსრულებითი დოკუმენტის ძალა აქვს. საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ანგარიშებიდან ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ ბრძანებათა სისრულეში მოყვანა ხდება დადგენილი წესით ბანკის მეშვეობით, დანარჩენ შემთხვევებში ბრძანებები სისრულეში მოჰყავთ სასამართლო აღმასრულებლებს. ბრძანება შესასრულებლად შეიძლება წარდგენილი იქნეს გადაწყვეტილების გამოტანის ან იმ ვადის დამთავრების დღიდან 3 თვის განმავლობაში, რომელიც სახელმწიფო არბიტრაჟმა დააწესა გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების ან განვადების დროს.

იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ბრძანების შესრულება ბანკის ან სასამართლო აღმასრულებლის მიერ და ამასთან დაკავშირებით იგი შეუსრულებლად დაბრუნდა, ახალი 3 თვის ვადა გადაწყვეტილების შესასრულებლად გამოიანგარიშება ბრძანების დაბრუნების დღიდან.

20. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟს სათავეში უდგას მთავარი არბიტრი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარ არბიტრს ეკუთვნის მოადგილე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

21. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი პერსონალურად პასუხისმგებელია საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟისადმი დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, აწესებს მთავარი არბიტრის მოადგილის, სახელმწიფო არბიტრების, განყოფილებათა ხელმძღვანელებისა და სხვა თანამდებობის პირების პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობის ცალკეულ სფეროებში.

22. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი:

ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და შესასრულებლად ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და დადგენილებებს, რომლებიც სავალდებულოა სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაკებისათვის, და ამოწმებს მათს შესრულებას.

მთავარი არბიტრი საჭირო შემთხვევებში გამოსცემს საქართველოს სსრ სხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

ბ) ნიშნავს თანამდებობაზე და ათავისუფლებს თანამდებობიდან საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაკებს.

23. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი და მთავარი არბიტრის მოადგილე მხარეთა განცხადებით და საკუთარი ინიციატივით ამოწმებენ საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ საქვეუწყებო საქმეთა გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა სისწორეს.

24. განცხადებანი გადაწყვეტილებათა გადასინჯვის შესახებ შეუძლიათ შეიტანონ საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა, რომლებიც არიან მხარეები საქმის გამო, გადაწყვეტილებათა გამოტანის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ განცხადების შეტანა ვერ შეაჩერებს ამ გადაწყვეტილების აღსრულებას.

25. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარ არბიტრს და მთავარი არბიტრის მოადგილეს გადაწყვეტილებათა სისწორის შემოწმების შედეგების მიხედვით შეუძლიათ უცვლელად დატოვონ, შეცვალონ ან გააუქმონ გადაწყვეტილება, მიიღონ ახალი გადაწყვეტილება, გადასცენ საქმე ხელახლა განსახილველად, შეწყვიტონ საქმის წარმოება.

გადაწყვეტილება შეიძლება შეიცვალოს ან გაუქმდეს, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არ შეესაბამება საქმის გარემოებასა და მასალებს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარ არბიტრსა და მთავარი არბიტრის მოადგილეს საჭირო შემთხვევებში უფლება აქვთ შეაჩერონ გადაწყვეტილების აღსრულება.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებანი შეიძლება გადაისინჯოს არა უგვიანეს ერთი წლის განმავლობაში მათი გამოტანის დღიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

26. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრისა და მთავარი არბიტრის მოადგილის მიერ მე-7 პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული დავის გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა სისწორის შემოწმება ზედამხედველობის წესით, თუ მხარეები ან ერთ-ერთი მხარე არის საკავშირო დაქვემდებარების ან სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკის საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება, აგრეთვე ამ დებულების მე-7 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში აღნიშნული დავის გამო საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა სისწორის შემოწმება ხდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის დებულებით გათვალისწინებული წესით.

27. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟში იქმნება კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედიან მთავარი არბიტრი (კოლეგიის თავმჯდომარე) და მთავარი არბიტრის მოადგილე თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სახელმწიფო არბიტრაჟის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

28. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგია თავის რეგულარულ სხდომებზე განიხილავს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობის, მის მიერ სამეურნეო კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, ისმენს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრებისა და განყოფილებათა უფროსების ანგარიშებს, საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა არბიტრაჟების მუშაობის გამოცდილების შესწავლის შედეგებს, განიხილავს ნორმატიული აქტების პროექტებსა და უმნიშვნელოვანეს ბრძანებათა, ინსტრუქციათა და დადგენილებათა პროექტებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი, როგორც წესი, ხორციელდება მთავარი არბიტრის ბრძანებებით. მთავარ არბიტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში არბიტრი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ თავიანთი აზრი აცნობონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

29. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი დადგენილი წესით იწვევს საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა არბიტრაჟების მუშაკთა თათბირებს, რომლებზეც განიხილება სამეურნეო დავის გადაწყვეტის დროს მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების საკითხები და არბიტრაჟების მუშაობის პრაქტიკის სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხები.

30. არბიტრაჟის ორგანიზაციისა და საქმიანობის საკითხებზე მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შესამუშავებლად საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟში იქმნება სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო თვალსაჩინო მეცნიერთა და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა შემადგენლობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობასა და მის დებულებას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი.

31. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის აპარატის საშტატო განრიგს (დაწესებული შტატებისა და ხელფასის თვიური ფონდის ფარგლებში, თანამდებობრივი სარგოების სქემების დაცვით), აგრეთვე განყოფილებათა დებულებებს ამტკიცებს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი. განყოფილებათა დებულებებში განისაზღვრება მათი რწმუნებანი საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის კომპეტენციის ფარგლებში.

32. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1974 წლის 14 მაისის № 234
დადგენილების დანართი

ნუსხა

საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 14 მაისის № 234 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. 1-ლი, მე-2, მე-6, მე-7 და მე-10 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 28 სექტემბრის № 784 დადგენილებისა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 18 ნოემბრის № 793 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების დამტკიცების შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 20 დეკემბრის № 834 დადგენილება „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 29 ოქტომბრის № 1117 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების შეცვლის შესახებ“.

4. მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 14 აგვისტოს № 530 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 25 მაისის № 591 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმებისა და შეცვლის შესახებ“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 17 იანვრის № 32 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟისათვის დავის საქვეუწყებობის შეცვლის შესახებ“ (საქართველოს სსრ დადგ. კრებ., 1969 წ., № 1, მუხ. 8).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

42 ქ. ცხინვალში 6-9-სართულიანი საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების დაპროექტებისა და მშენებლობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

„რესპუბლიკის სეისმურ რაიონებში მშენებლობის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 18 სექტემბრის № 511 დადგენილების დამატების თაობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 სექტემბრის № 484 დადგენილების მოქმედება გავრცელდეს ქალაქ ცხინვალზე და ნება დაერთოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს განახორციელოს 1975-1976 წლებში ქ. ცხინვალის გენერალური გეგმით გათვალისწინებულ ადგილებში 6-9-სართულიანი შენობების დაპროექტება და მშენებლობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 22 მაისი, № 256.

43 იმ თანამდებობათა ნუსხების დამტკიცების შესახებ, რომლებზეც ვრცელდება ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაცია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ სამინისტროთა და უწყებათა სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებში

„მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაციის შემოღების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 26 ივლისის № 531 დადგენილების შესასრულებლად და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 30 ნოემბრის № 695 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“, საკოლმეურნეობათაშო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანება „საქკომშენ-ურნმშენის“ წინადადებანი, რომლებიც შეთანხმებულია შესაბამის საკავშირო ორგანოებთან და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან, და დამტკიცდეს იმ თანამდებობათა წარმოდგენილი ნუსხები, რომლებზეც ვრცელდება აღნიშნულ სამინისტროთა და უწყებათა სისტემის საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაცია დანართის თანახმად.

2. დაევალოთ აღნიშნულ სამინისტროებსა და უწყებებს დააწესონ კონტროლი ატესტაციის მიმდინარეობისადმი და უზრუნველყონ მისი სწორად ჩატარება დადგენილ ვადებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 22 მაისი, № 258

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1974 წლის 22 მაისის № 258
დადგენილების დანართი

ნ უ ს ხ ა

თანამდებობებისა, რომლებზეც ვრცელდება ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაცია საწარმოებსა და ორგანიზაციებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 26 ივლისის № 531 დადგენილების შესაბამისად

ა. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში

1. საწარმოები და ორგანიზაციები (რომლებშიც ტარდება ატესტაცია)

ყველა საწარმოო მიმართულების საბჭოთა მეურნეობები, მეფრინველეობის ფაბრიკები, სახელმწიფო მეცხოველეობის კომპლექსები; ხეხილის, ხეხილ-კენკრეულის, ვაზის, თუთის სანერგეები, ტყის ხეხილის სანერგეები; სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა საცდელ-საწარმოო და ექსპერიმენტული მეურნეობები, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა სასწავლო-საცდელ და სასწავლო-საწარმოო მეურნეობები, დამხმარე სასოფლო მეურნეობები, სასათბურო-საკვალსათბურო კომბინატები, საკვებისა და გასასუქებელი მეურნეობები, იპოდრომები, მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურები, სანაშენო მუშაობისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესვლის სახელმწიფო სადგურები, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესვლის სახელმწიფო სადგურები, სახელმწიფო ჯიშთსაშენები, მეცხოველეობის სამანქანო სადგურები, საშრობი ქარხნები, საკონსერვო ქარხნები, მაცივრები, მეაბრეშუმეობის სანაშენო სადგურები, პარკსაშრობები, საგრენაჟო ქარხნები, მეფრინველეობის სარაიონთაშორისო განყოფილებები.

სარემონტო-სამშენებლო სამმართველოები, სამშენებლო კომბინატები, მოძრავი მექანიზებული კოლონები; მექანიკური ქარხნები, ავტობაზები, ავტომეურნეობები; ძვალ-ხორცის ფხვნილის ქარხნები; სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული ზოოვეტერინარული მომარაგებისა და მრეწველობის მთავარი სამმართველოს და ბიოლოგიური მრეწველობის მთავარი სამმართველოს საწარმოები (ქარხნები, ბიოფაბრიკები, ბიოკომბინატები); ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიები; გამოთვლითი ცენტრები და მანქანათსაანგარიშო სადგურები; ნორმატიულ-კვლევითი სადგურები.

2. თანამდებობანი

საწარმოთა და ორგანიზაციათა დირექტორების მოადგილენი (ყველა საკითხებში), ძირითადი განყოფილებების, საწარმოო განყოფილებების, ქვეგანყოფილებების, სექტორების, ბიუროების, სახელოსნოების, ცვლების, უბნების, კანტორების, ლაბორატორიების, საამქროების, ავტოგარაჟების, მანქანების (გამოთვლითი ცენტრის) უფროსები (უფროსთა მოადგილეები)*.

კანტოების, საკონტროლო-საცდელი სადგურების, განყოფილებების (ფერმების, სასოფლო-სამეურნეო უბნების) მმართველები*.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობების, საინკუბატოროების, ნავთობმეურნეობების, სარემონტო მექანიკური სახელოსნოების, ხელოვნური დათესვლის პუნქტების, ლაბორატორიების, სექტორების, განყოფილებების, ჯგუფების (გამოთვლითი ცენტრების), ვეტერინარული აფთიაქების (საბჭოთა მეურნეობების), უბნების, ვეტერინარულ-პროფილაქტიკური პუნქტების (საბჭოთა მეურნეობების), საწარმოო განყოფილებებისა და ფილიალების, გარაჟების, წარმოებების, მეცხოველეობის ბაზების, დამამზადებელი პუნქტების, საავტომობილო-სატრაქტორო პარკების, მეთესლეობის სადგურების გამგეები*.

მთავარი (უფროსი — მთავარის უფლებებით)* აგრონომები, აგროქიმიკოსები, ზოოტექნიკოსები, ვეტექიმები, ინჟინრები (ყველა სპეციალობისა), კონსტრუქტორები, ტექნოლოგები, ენერგეტიკოსები, მექანიკოსები, მელიორატორები, მეტყევეები, მეთევზეები, ეკონომისტები, ბუღალტრები, ჯიშიანი ცხენების გამომცდელი მსაჯები (იპოდრომებზე), მთავარ ბუღალტერთა მოადგილეები.

მემინდვრეობის, მეცხოველეობის, სამშენებლო, სარემონტო და სხვა საწარმოო და დამხმარე ბრიგადების ბრიგადირები.

ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, უფროსი სპეციალისტები და სპეციალისტები: აგრონომები, აგროქიმიკოსები, ნიადაგმცოდნეები, კარტოგრაფები, ზოოტექნიკოსები, ვეტექიმები, მეტყევე-ნადირობისმცოდნეები, აგროტყემელიორატორები, მელიორატორები, ჰიდროტექნიკოსები, ენერგეტიკოსები, თბოტექნიკოსები, ტექნოლოგები, კონსტრუქტორები, მათემატიკოსი-პროგრამისტები, რადიოელექტრონიკის სპეციალისტები, ინჟინრები (ყველა სპეციალობისა), ეკონომისტები, სელექციონერები, ბიოლოგები, მიკრობიოლოგები, ბაქტერიოლოგები, ქიმიკოსები, ბიოქიმიკოსები, ფარმაკოლოგები, რადიოლოგები, ტოქსიკოლოგები, ტექნიკოსები (ყველა სპეციალობისა), აგროტექნიკოსები, ელექტრომექანიკოსები, ვეტფერშლები, რადიოტექნიკოსები, მექანიკოსები, ავტომექანიკოსები, ჯიშიანი ცხენების გამომცდელი ლაბორანტები, ოსტატები, სამუშაოთა მწარმოებლები, ტექნიკური ხელმძღვანელები, ხაზის კონტროლიორები.

ბ. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სისტემაში

1. საწარმოები და ორგანიზაციები (რომლებშიც ტარდება ატესტაცია)

ყველა საწარმოო მიმართულების საბჭოთა მეურნეობები, ჯიშთსაშენები და ცხენსაშენები, მეფრინველეობის ფაბრიკები, საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმები, სახელმწიფო მეცხოველეობის კომპლექსები; მეხილეობის, მეხილეობა-მეკენკრეობის, მევენახეობის, მეთუთეობის სანერგე მეურნეობები; სასათბურო-საკვალსათბურო კომბინატები, საკვებისა და გასასუქებელი მეურნეობები, მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურები; სარემონტო-სამშენებლო სამმართველო, მოძრავი მექანიზებული კოლონები; მექანიკური ქარხნები, ავტობაზები, ავტომეურნეობები; ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიები.

2. თანამდებობანი

საწარმოთა და ორგანიზაციათა დირექტორების მოადგილენი (ყველა საკითხში).

ძირითადი განყოფილებების, საწარმოო განყოფილებების, ქვეგანყოფილებების, სექტორების, ბიუროების, სახელოსნოების, ცვლების, უბნების, კანტორების, ლაბორატორიების, საამქროების, ავტოგარაჟების, მანქანების (გამოთვლითი ცენტრის) უფროსები (უფროსთა მოადგილეები)*.

კანტორების, განყოფილებების (ფერმების, სასოფლო-სამეურნეო უბნების) მმართველები*.

მეურნეობების, საინკუბატოროების, სარემონტო-მექანიკური სახელოსნოების, ლაბორატორიების, სექტორების, განყოფილებების, ვეტერინარული აფთიაქების (საბჭოთა მეურნეობებისა), უბნების, ვეტერინარულ-პროფილაქტიკური პუნქტების (საბჭოთა მეურნეობებისა) საწარმოო განყოფილებების, ფილიალების, გარაჟების, საწარმოების, მეცხოველეობის ბაზების, დამამზადებელი პუნქტების, საავტომობილო-სატრაქტორო პარკების, მეთესლეობის სადგურების გამგეები*.

მთავარი (უფროსი — მთავარის უფლებებით) აგრონომები, აგროქიმიკოსები, ზოოტექნიკოსები, ვეტექიმები, ინჟინრები (ყველა სპეციალობისა), კონსტრუქტორები, ტექნოლოგები, ენერგეტიკოსები, მექანიკოსები, მელიორატორები, ეკონომისტები, ბუღალტრები.

მთავარ ბუღალტერთა მოადგილეები.

მემცენარეობის, მეცხოველეობის, სამშენებლო, სარემონტო და სხვა საწარმოო და დამხმარე ბრიგადების ბრიგადირები.

ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, უფროსი სპეციალისტები და სპეციალისტები: აგრონომები, აგროტექნიკოსები, ნიადაგმცოდნეები, კარტოგრაფები, ზოოტექნიკოსები, ვეტექიმები, აგრომელიორატორები, მელიორატორები, ჰიდროტექნიკოსები, ენერგეტიკოსები, თბოტექნიკოსები, ტექნოლოგები, კონსტრუქტორები, მათემატიკოსი-პროგრამისტები, რადიოელექტრონიკის სპეციალისტები, ინჟინრები (ყველა სპეციალობისა), ეკონომისტები, სელექციონერები, ბიოლოგები, მიკრობიოლოგები, ბაქტერიოლოგები, ქიმიკოსები, ბიოქიმიკოსები, ფარმაკოლოგები, რადიოლოგები, ტოქსიკოლოგები, ტექნიკოსები (ყველა სპეციალობისა), აგროტექნიკოსები, ვეტფერშლები, რადიოტექნიკოსები, ავტომექანიკოსები, ელექტრომექანიკოსები, ლაბორანტები, საქონელმცოდნეები, მნორმავები, იურისკონსულტები, ოსტატები, სამუშაოთა მწარმოებლები, ტექნიკური ხელმძღვანელები, ხაზის კონტროლიორები.

გ. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემაში

1. მშენებლობის ტრესტები, სამმართველოები (ტრესტების უფლებებით), ლაბორატორიები, ნორმატიულ-კვლევითი სადგურები და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ბიუროები (ჯგუფები)

თანამდებობანი: განყოფილებათა უფროსები, განყოფილებათა უფროსების მოადგილენი, მთავარი სპეციალისტები, ყველა სპეციალობის უფროსი ინჟინრები, უფროსი ეკონომისტები, ყველა სპეციალობის ინჟინრები, ეკონომისტები, ლაბორატორიების, ნორმატიულ-კვლევითი სადგურებისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ბიუროების (ჯგუფების) უფროსები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოები, მოძრავი მექანიზებული კოლონები, საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექტაციის სამმართველოები, მდელო-სამელიორაციო სადგურები, სამანქანო-სამელიორაციო სადგურები და სამეურნეოანგარიშიანი უბნები

თანამდებობანი: განყოფილებათა უფროსები, განყოფილებათა უფროსების მოადგილენი, მთავარი სპეციალისტები, უბნების უფროსები, უფროსი ინჟინრები, უფროსი ეკონომისტები და სხვა უფროსი სპეციალისტები, ინჟინრები, ეკონომისტები და სხვა სპეციალისტები, უფროსი სამუშაოთა მწარმოებლები და სამუშაოთა მწარმოებლები (სამუშაო ადგილის მიუხედავად), ოსტატები, დამხმარე წარმოებათა, სახელოსნოთა გამგეები, უბნის მექანიკოსები, შრომის მოწინავე მეთოდების ინსტრუქტორები, მნორმავები და ტექნიკოსები.

3. სამრეწველო საწარმოები და სარემონტო-მექანიკური სახელოსნოები

თანამდებობანი: განყოფილებათა უფროსები, განყოფილებათა უფროსების მოადგილენი, წარმოების უფროსები, მთავარი სპეციალისტები, საამქროების, ცვლების უფროსები, უფროსი ინჟინრები, უფროსი ეკონომისტები და სხვა უფროსი სპეციალისტები, ინჟინრები, ეკონომისტები და სხვა სპეციალისტები, ოსტატები, მექანიკოსები, უფროსი ტექნიკოსები, მნორმავები, დისპეტჩერები, ტექნიკოსები.

4. საექსპლუატაციო წყალსამეურნეო ორგანიზაციები და საწარმოები

თანამდებობანი: განყოფილებათა უფროსები, განყოფილებათა უფროსების მოადგილენი, არხების განყოფილებათა უფროსები, სისტემათა უბნებისა და სატუმბავი სადგურების უფროსები, უფროსი ინჟინრები, უფროსი ეკონომისტები და სხვა უფროსი სპეციალისტები, ინჟინრები, ეკონომისტები და სხვა სპეციალისტები, საამქროთა უფროსები, უფროსი ტექნიკოსები, ტექნიკოსები.

5. საუზო ინსპექციები და ჰიდროტექნიკური ლაბორატორიები

თანამდებობანი: განყოფილებათა უფროსები, განყოფილებათა უფროსების მოადგილენი, უფროსი სახელმწიფო ინსპექტორები, უფროსი სპეციალისტები და სპეციალისტები (ყველა დასახელებისა), უფროსი ტექნიკოსები, ტექნიკოსები, ლაბორანტები.

6. ავტოსატრანსპორტო საწარმოები

თანამდებობანი: განყოფილებათა უფროსები, მთავარი სპეციალისტები, უფროსი სპეციალისტები და სპეციალისტები (ყველა დასახელებისა), კოლონების უფროსები, გარაჟების უფროსები, სახელოსნოთა გამგეები, უფროსი ტექნიკოსები, ტექნიკოსები.

დ. საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს სისტემაში

1. საწარმოები და ორგანიზაციები (რომლებშიც ტარდება ატესტაცია)

წისქვილკომბინატები, წისქვილქარხნები, პურპროდუქტების ბაზები, პურის მიმღები პუნქტები; ბეღლის მავნებლებთან ბრძოლის საწარმოო სამმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველო, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კანტორა, საპროექტო-ნაგებ რჯთაღრიცხვო ბიურო.

2. თანამდებობანი

მთავარ ინჟინერთა მოადგილეები, მთავარ ენერგეტიკოსთა მოადგილეები, ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა უფროსების მოადგილენი, ცვლების უფროსები, მთავარ ბუღალტერთა მოადგილეები, ელევატორთა უფროსები, ელევატორთა უფროსების მოადგილენი, ცვლისა და არაცვლის მებურღულეები, ახალი ტექნიკის ინჟინრები, ნაკადური ხაზების უფროსები, ნაკადური ხაზების უფროსთა მოადგილეები, უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინრები, კომბინირებული საკვების საამქროთა უფროსები, კომბინირებული საკვების საამქროთა უფროსების მოადგილენი, სატრანსპორტო განყოფილებათა უფროსები, ლაბორატორიების გამგეები, ასპირაციის ინჟინრები, ავტომატიკის ინჟინრები, იურისკონსულტები, კომბინირებული საკვების საამქროთა ინჟინერ-ქიმიკოსები, ელევატორთა ოსტატები, ცვლის ინჟინრები, ეკონომისტები, უფროსი ლაბორანტები, ლაბორანტები, ბუღალტრები, მნორმავები, ტექნოლოგები, საწყობის გამგეები.

ე. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემაში

1. საწარმოები და ორგანიზაციები (რომლებშიც ტარდება ატესტაცია)

„სოფლტექნიკის“ გაერთიანებანი და ორგანიზაციები (სარაიონთაშორისო, რაიონული, სპეციალიზებული), ტრესტები, სამმართველოები, მოძრავი მექანიზებული კოლონები, სამშენებლო, სამშენებლო-სამონტაჟო, მექანიზებული და სხვა სპეციალიზებული უბნები, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციები (კანტორები, სამმართველოები, ბაზები, სპეცმაღაზიები, საწყობები), ავტოსატრანსპორტო საწარმოები, ხის დამმუშავებელი, სასენაჟე კოშკების წარმოების, სასწავლო-საკურსო და სხვა კომბინატები, შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრები, ლაბორატორიები (პროდუქციის ხარისხის, სასუქებისა და შხამქიმიკატების ხარისხის საკონტროლო-საწარმოო; ხარისხის, სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის), სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის განყოფილებები (ბიუროები), საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრები, მანქანათსაცდელი სადგურები და მათი საცდელი მეურნეობები, მანქანათსაანგარიშო ბიუროები (სადგურები).

2. თანამდებობანი

მთავარი ტექნოლოგები, მექანიკოსები, ენერგეტიკოსები, აგრონომები, შემდუღებლები, ეკონომისტები.

განყოფილებების, საამქროების, უბნების, მექანიზებული რაზმების, სადგურების (ავტომობილებისა და მანქანა-ტრაქტორთა პარკის, რაიონულ გაერთიანებათა მეცხოველეობის ფერმების მოწყობილობის ტექნიკური მომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახურების), სახელოსნოების, ტექნიკური საცვლელი პუნქტების, საწყობების უფროსები, გამგეები (მათი მოადგილენი).

ყველა სპეციალობის უფროსი ინჟინრები, ეკონომისტები, დისპეტჩერები, ყველა სპეციალობის ტექნიკოსები, ოსტატები, სამუშაოთა მწარმოებლები, აგრონომები, ბუღალტრები, საქონელმცოდნეები, კადრების ინსპექტორები.

ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სპეციალისტთა სხვა თანამდებობანი: ყველა სპეციალობის ინჟინრები, ყველა სპეციალობის ტექნიკოსები, ეკონომისტები, მნორმავები, მექანიკოსები, ოსტატები, ტექნიკოს-მნორმავები, აგრონომები, ავტომექანიკოსები, საქონელმცოდნეები, კადრების ინსპექტორები, ბუღალტრები.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში

1. საწარმოები და ორგანიზაციები (რომლებშიც ტარდება ატესტაცია)

სატყეო მეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, ტყის სანერგეები, ტყეპარკები, „საქტყეთესლის“ კანტორა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კანტორა, სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო, მერქნის გადამმუშავებელი საწარმოები.

2. თანამდებობანი

სატყეო მეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ტყის სანერგეების, ტყეპარკების დირექტორების მოადგილენი (ყველა საკითხში), საწარმოთა უფროსები, განყოფილებების, ფერმების, ლაბორატორიების გამგეები, წარმოებათა ბრიგადირები.

მთავარი (უფროსი — მთავარის უფლებებით) მეტყევეები, ყველა სპეციალობის ინჟინრები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ვეტექიმები და ბუღალტრები.

ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მეტყევეები, ენტომოლოგები, ეკონომისტები, დირექტორები და ბუღალტრები, ტექნიკოს-მეტყევეები, ტყის მცველები, საწყობის გამგეები, ტყის ჯიშების თესლის დამამზადებლები და ხე-ტყის დამამზადებლები.

4. საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის“ სისტემაში

1. საწარმოები და ორგანიზაციები

საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციები, სპეციალურ სამუშაოთა ორგანიზაციის სამმართველო, სპეციალური მოძრავი მექანიზებული კოლონები, საწარმოო კომბინატი, საპროექტო ინსტიტუტი „საქკოლმეურნმშენპროექტი“.

2. თანამდებობანი

მთავარი ინჟინრები, მთავარი ბუღალტრები, განყოფილებათა უფროსები, უფროსი სამუშაოთა მწარმოებლები, სამუშაოთა მწარმოებლები, წარმოებათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფროსები, უფროსი ინჟინრები, ინჟინრები, უფროსი ეკონომისტები, ეკონომისტები, უფროსი ბუღალტრები, ბუღალტრები, მომარაგების უფროსები, მნორმავები, მშენებლობის უფროსი ოსტატები და ოსტატები, წარმოების ოსტატები, ყველა სპეციალობის ინჟინრები, ყველა სპეციალობის უფროსი ტექნიკოსები და ტექნიკოსები, ლაბორანტები, გარაჟების უფროსები, მექანიკოსები, დისპეტჩერები.

*) შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ატესტაციას არ ექვემდებარებიან საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც მუშაობენ დირექტორების, უფროსების, მმართველების, გამგეების მოადგილეებად, მთავარ სპეციალისტებად (უფროს სპეციალისტებად — მთავარის უფლებებით) და რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავენ და თანამდებობიდან ათავისუფლებენ ზემდგომი ორგანოები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

44 „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის წლის განმავლობაში გაში წამოჭრილ მოთხოვნილებათა მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 18 თებერვლის № 79 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

„საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის წლის განმავლობაში წამოჭრილ მოთხოვნილებათა მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 18 თებერვლის № 79 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აღნიშნული დადგენილების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა:

ა) გადასცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს იმ წინადადებათა მომზადების ფუნქცია, რომ განაწილდეს:

— სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული მატერიალური რესურსების მთელი რეზერვები და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ განაწილებული პროდუქციის ნომენკლატურის რეზერვები „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული პროდუქციის გარდა.

— საქართველოს სსრ საწარმოთა მიერ დამზადებული ზეგეგმითი პროდუქციის ის ნაწილი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად რჩება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებაში.

გაითვალისწინოს მატერიალური რესურსების განაწილების გეგმებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რეზერვები პროდუქციის ძირითად სახეობათა მიხედვით რესპუბლიკისათვის გამოყოფილი საერთო წლიური ფონდების არა ნაკლებ 3 პროცენტის ოდენობით.

საქართველოს სსრ მთავარმომარაგებამ დააკმაყოფილოს წლის პირველ ნახევარში დამატებით წამოჭრილი სამინისტროთა და უწყებათა მოთხოვნილებანი მატერიალურ რესურსებზე, უწინარეს ყოვლისა მათთვის გამოყოფილი წლიური ფონდების ადრე მიწოდების ხარჯზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წლის 29 მაისი, № 288

ეროვნული ბიბლიოთეკა

45 საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მექანიზებული რგოლების შექმნისა და შრომის ანაზღაურების რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 21 აგვისტოს № 541 დადგენილების მე-5 პუნქტის შესაბამისად საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსთან და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშებისა და მოსამსახურეების პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებული რეკომენდაციები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მექანიზებული რგოლების შექმნისა და შრომის ანაზღაურების შესახებ.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ორი თვის ვადაში დაუგზავნონ აღნიშნული რეკომენდაციები თითოეულ რაიონსა და მეურნეობას.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ ამ რეკომენდაციების სწორად გამოყენება მეურნეობების მიერ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 29 მაისი, № 290.

ეროვნული ბიბლიოთეკა

46 რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების საშუალო სასოფლო-მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცებისა და მათი რაციონალურად განლაგების ღონისძიებათა შესახებ

რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების რაციონალურად განლაგების, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლებისა და საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს ვანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გაერთიანება დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმთან, ხოლო ლანჩხუთის ტექნიკუმისა — გორაბერეჟოულის ტექნიკუმთან 1977 წელს.

ამასთან დაკავშირებით შეწყდეს მოსწავლეთა მიღება 1974/75 სასწავლო წლიდან ვანისა და ლანჩხუთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ლანჩხუთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის შენობა-ნაგებობანი და კაბინეტ-ლაბორატორიები გამოიყენოს სოფლის მეურნეობის საშუალო რგოლის ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სკოლისათვის, ხოლო პედაგოგიური პერსონალი — ამ სკოლის მასწავლებლებად.

3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ვანისა და სამტრედიის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ მოსწავლეთა და პედაგოგთა გადაყვანა გაუქმებული ტექნიკუმიდან დიდი ჯიხაიშის გამსხვილებულ ტექნიკუმში და პედაგოგიური და დამხმარე პერსონალის დასაქმება.

4. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინონ 1975 წლის გეგმაში გორაბერეჟოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კომპლექსის მშენებლობის დაწყება ამ სამინისტროსათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 29 მაისი № 291

47 მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებით დასაქმებულ მუშაკთა შრომის ამონაგების პროცენტულად ანაზღაურების პირობების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებული დებულება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებით დასაქმებულ მუშაკთა შრომის ამონაგების პროცენტულად ანაზღაურების პირობების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 31 მაისი, № 292.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1974 წლის 31 მაისის № 292
დადგენილებით

დებულება

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებით დასაქმებულ მუშაკთა შრომის ამონაგების პროცენტულად ანაზღაურების პირობების შესახებ

დებულება ამონაგების პროცენტულად შრომის ანაზღაურების პირობების შესახებ შემოღებულია იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებით დასაქმებულ მუშაკთა მატერიალური დაინტერესება მომსახურების მოცულობის გადიდებით, მოსახლეობის მომსახურების კულტურისა და კვალიფიკაციის ამაღლებით, შეკვეთების შესრულების ხარისხის გაუმჯობესებით.

ამონაგების პროცენტულად შრომის ანაზღაურება შეიძლება შემოღებულ იქნეს ატელიეების, სახელოსნოების, ფოტოგრაფიების, საპარიკმახეროების, ქიმიური წმენდისა და თეთრეულის რეცხვის ფაბრიკების, მიმღები და გამქირავებელი პუნქტების და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისადმი მიკუთვნებულ სამუშაოთა და მომსახურებათა შემსრულებელი სხვა ობიექტების ყველა მუშაკისათვის, აგრეთვე მუშაკებისათვის, რომლებიც საყოფაცხოვრებო მომსახურებას უწევენ მოსახლეობას ძირითად სამუშაოსთან ერთად.

ამონაგების პროცენტულად შრომის ანაზღაურებაზე მუშაკთა გადაყვანისა და ხელფასის ანარიცხების კონკრეტული ოდენობის განსაზღვრის წესი

1. ცალკეულ მუშაკთა (ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მოსამსახურეთა და სხვათა ჩათვლით) გადაყვანას ამონაგების პროცენტულად შრომის ანაზღაურებაზე ამ დებულების შესაბამისად ახორციელებენ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

ატელიეების, სახელოსნოებისა და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივები მთლიანად ამონაგების პროცენტულად შრომის ანაზღაურებაზე გადადიან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროთა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოთა გადაწყვეტილებებით.

მუშაკთა და მთლიანად სტრუქტურულ ქვედანაყოფთა კოლექტივების გადაყვანას ამონაგების პროცენტულად შრომის ანაზღაურებაზე უნდა უსწრებდეს საგულდაგულო მოსამზადებელი მუშაობა შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების გაუმჯობესებისათვის, მომსახურების ხარისხისა და კულტურის ამაღლებისათვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის გადიდებისა და შეკვეთების შესრულების ვადების შემცირებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ამონაგების პროცენტულად მუშაკთა შრომის ანაზღაურების შენარჩუნებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ამონაგების ზრდა, რაც უსწრებს ხელფასის ზრდას.

3. მუშაკთა შრომის ასანაზღაურებლად ამონაგების პროცენტულად ანარიცხების საშუალო-წლიურ ოდენობას (პრემიებისა და ხელფასის ფონდიდან გასაცემი სხვა თანხების ჩათვლით) მომსახურების სახეობათა მიხედვით აწესებს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით, მომსახურების სახეობათა მიხედვით ამონაგების პროცენტულად შრომის ანაზღაურების ზღვრული დანახარჯების იმ ნორმატივების შესაბამისად, რომლებიც შეთანხმებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან.

აღნიშნული ოდენობა შეიძლება დიფერენცირებულ იქნეს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მიხედვით.

4. შრომის ასანაზღაურებლად ამონაგების პროცენტულად ანარიცხების კონკრეტულ ოდენობას აწესებს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით, ან მისი დავალებით — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოები პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტებთან შეთანხმებით.

ეს ოდენობა ისეთნაირად განისაზღვრება, რომ ხელფასის ხვედრითი წონა (პრემიებისა და ხელფასის ფონდიდან გასაცემი სხვა თანხების ჩათვლით) ამონაგების მოცულობაში საშუალოდ წლის მანძილზე არ უნდა აღემატებოდეს საშუალო-წლიურ ოდენობას, რაც დაწესებულია საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცემული სახეობისათვის ამ დებულების მე-3 პუნქტის შესაბამისად.

5. საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტებთან შეთანხმებით შეუძლიათ დააწესონ შრომის ასანაზღაურებლად ამონაგების პროცენტულად ანარიცხების კონკრეტული ოდენობა ზემოაღნიშნული წესით დამტკიცებულ ოდენობაზე ნაკლები.

6. მუშაკთა შრომის ასანაზღაურებლად ანარიცხების კონკრეტული ოდენობა განისაზღვრება შესრულებული საყოფაცხოვრებო მომსახურების ამონაგების პროცენტულად საპრეისკურანტო ფასებში, რომლებიც დამტკიცებულია დადგენილი წესით.

იმ შემთხვევებში, როცა საპრეისკურანტო ფასებში შედის ძვირადღირებული მასალების, სათადარიგო ნაწილების, კვანძებისა და დეტალების ღირებულება, შრომის ანაზღაურების ანარიცხები გამოიანგარიშება ამონაგებიან პროცენტულად ძვირადღირებული მასალების, სათადარიგო ნაწილების, კვან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძებისა და დეტალების ღირებულების გამოკლებით. ამონაგების თანხიდან გამოკლებული ძვირადღირებული მასალების, სათადარიგო ნაწილების, კვანძებისა და დეტალების შემოტანასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოები ცალკე ნაზღაურდება.

ანარიცხების კონკრეტული ოდენობის გამოანგარიშებისას მიღებული ამონაგების თანხიდან გამოკლებული მასალების, სათადარიგო ნაწილების, კვანძებისა და დეტალების ნუსხას, აგრეთვე მათ შემოტანასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოებისათვის დამატებითი ანაზღაურების წესს ამტკიცებს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით.

7. შრომის ასანაზღაურებლად ამონაგების პროცენტულად ანარიცხების კონკრეტული ოდენობა გამოიანგარიშება მუშაკთა საანგარიშსწორებო განაკვეთებისა და მათთვის დაწესებული ამონაგების მინიმალური ოდენობის (ნორმების) შესაბამისად.

8. ამონაგების პროცენტულად მუშათა შრომის ანაზღაურების ანარიცხების ოდენობის განსაზღვრისათვის თვიურ საანგარიშსწორებო განაკვეთად მიიღება:

ა) მუშებისათვის, რომელთა შრომა ნაზღაურდება მსუბუქი მრეწველობის სატარიფო განაკვეთების მიხედვით (ფეხსაცმლის, სამკერვალო, ტრიკოტაჟის, ტყავის, ბეწვეულის ნაწარმის შეკერვა და შეკეთება, ქიმიური წმენდის ფაბრიკებში, სამრეცხაოებში და ა. შ.), — 68 მანეთი;

ბ) გამომჭრელებისათვის — 90 მანეთი;

გ) მუშებისათვის, რომელთა შრომა ნაზღაურდება ლითონდამმუშავებელი და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სატარიფო განაკვეთების მიხედვით (ლითონის ნაწარმის შეკეთება და დამზადება, საყოფაცხოვრებო ტექნიკის, მუსიკალური ინსტრუმენტების, საათების შეკეთება, ავეჯის შეკეთება და დამზადება, ფოტოგრაფიებში და ა. შ.), — 80 მანეთი;

დ) მუშებისათვის, რომელთა შრომა ნაზღაურდება სამშენებლო და სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებისათვის დაწესებული სატარიფო განაკვეთების მიხედვით ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესაბამისად, — 108 მანეთი;

ე) მოსახლეობის შეკვეთით სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებული მუშებისათვის (სტრუქტურულ ქვედანაყოფთა მუშებისათვის) — 80 მანეთი;

ვ) მუშაკებისათვის, რომლებსაც დაწესებული აქვთ თვიური სარგოები, — საშუალო სარგოები შესაბამისი თანამდებობის მიხედვით, ხოლო შეკვეთების მიმღებთათვის — 65 მანეთი;

ზ) პარიკმახერებისათვის, აგრეთვე მუშაკებისათვის, რომლებსაც დაწესებული არა აქვთ სატარიფო განაკვეთები, რომლებიც არ ტარიფიცირდებიან სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარების მიხედვით, — 60 მანეთი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის — ლო სარგოები შესაბამის თანამდებობათა მიხედვით.

9. საყოფაცხოვრებო მომსახურების სახეობათა მიხედვით ამონაგების მინიმალურ ოდენობას (ნორმებს) ერთ მუშაკზე გაანგარიშებით აწესებს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით, მომსახურების მოქმედი საპრეისკურანტო ფასების, დროის ტიპობრივი ნორმებისა და დადგენილი წესით დამტკიცებული შრომითი დანახარჯების სხვა ნორმატივების, აგრეთვე გაანგარიშებული პერიოდისათვის სამუშაო დროის ბალანსის შესაბამისად.

10. მაღალკვალიფიციურ მუშაკებს, რომლებიც ასრულებენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოებს უპირატესად მე-5 და მე-6 თანრიგების ტარიფიკაციის მიხედვით, შეიძლება დაუწესდეთ ყოველთვიური დანამატი კვალიფიკაციისათვის (კლასისათვის) შემდეგი ოდენობით:

ა) მუშებს, რომელთა შრომა ნაზღაურდება მსუბუქი მრეწველობის სატარიფო განაკვეთების მიხედვით:

მე-5 თანრიგისათვის — 10 მანეთი,

მე-6 თანრიგისათვის — 20 მანეთი;

ბ) კაბის გამომჭრელებს პირველი თანრიგის ატელიეებში და ზედა ტანსაცმლის გამომჭრელებს მეორე თანრიგის ატელიეებსა და სახელოსნოებში — 10 მანეთი, კაბის გამომჭრელებს უმაღლესი თანრიგის ატელიეებში და ზედა ტანსაცმლის გამომჭრელებს უმაღლესი და პირველი თანრიგის ატელიეებში — 20 მანეთი;

გ) მუშებს, რომელთა შრომა ნაზღაურდება ლითონდამმუშავებელი მრეწველობის სატარიფო განაკვეთების მიხედვით:

მე-5 თანრიგისათვის — 15 მანეთი,

მე-6 თანრიგისათვის — 25 მანეთი;

დ) მე-2 კლასის პარიკმახერებს — 5 მანეთი,

1-ლი კლასის პარიკმახერებს — 10 მანეთი,

მოდელიერ-პარიკმახერებს — 20 მანეთი,

1-ლი კლასის მემანიკურეებს — 5 მანეთი.

დანამატი გაიცემა ფაქტიურად ნამუშევარი დროისათვის იმ პირობით, თუ ჩაბარებული ამონაგების თანხა დაწესებულ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები **არ არის.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული დანამატი შედის სანარდო ხელფასში პრემიის ოდენობის გ-მოანგარიშებისას, აგრეთვე საშუალო ხელფასში მორიგი შვებულების, სამსახურებრივი მივლინების ანაზღაურებისას, დროებითი შრომისუუნარობის დახმარების გამოანგარიშებისას.

ცალკეულ შემთხვევებში დანამატის ნაცვლად მაღალკვალიფიციურ მუშაკებს შეიძლება დაუწესდეთ შრომის ასანაზღაურებლად ამონაგების ანარიცხების გადიდებული (მე-4 პუნქტის შესაბამისად დაწესებულთან შედარებით) ოდენობა, მაგრამ არა უმეტეს 20 პროცენტით

საყოფაცხოვრებო მომსახურების სახეობათა მიხედვით ამონაგების მინიმალური ოდენობა (ნორმები) წესდება დიფერენცირებულად ქალაქებისა და რაიონების ჯგუფების (ზონების) მიხედვით, მათი მუშაობის ობიექტური პირობების გათვალისწინებით.

საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს შეუძლიათ დიფერენცირებული გახადონ ამ დებულების მე-9 პუნქტის შესაბამისად დაწესებული ამონაგების მინიმალური ოდენობა ატელიეს, სახელოსნოს, საამქროს ან სტრუქტურულ ქვედანაყოფთა ადგილსამყოფელის, მათი ტექნიკური აღჭურვის დონის, შეკვეთების შემოსავლის ინტენსივობის, მუშაობის სეზონურობისა და ამონაგების ოდენობაზე ზეგავლენის მომხდენი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს შეუძლიათ დააწესონ ამონაგების უფრო მეტი ოდენობა (ნორმა), ვიდრე ეს დაწესებულია ამ დებულების შესაბამისად.

11. მოძრავ სახელოსნოებში დასაქმებული მუშაკებისათვის ამონაგების პროცენტულად ანარიცხების ოდენობა შეიძლება გადიდდეს სტაციონარულ სახელოსნოებში ანალოგიური პროფესიებისათვის დაწესებულთან შედარებით 50 პროცენტამდე.

12. მუშაკებს, რომლებიც რამდენიმე სახეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას ასრულებენ, რაც სხვადასხვა სპეციალობის დაუფლებას მოითხოვს (მუშა და შეკვეთების მიმღები, მუშა და სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლი, კომპლექსური მისაღები პუნქტების მიმღები და ა. შ.), უწესდებათ შრომის ანაზღაურების გადიდებული პროცენტი ამონაგებიდან შემდეგი ოდენობით: ერთი პროფესიის შეთავსებისათვის — თითოეული შეთავსებული პროფესიის მიხედვით გათვალისწინებული პროცენტების 5 პროცენტი და ორი და მეტი პროფესიის შეთავსებისათვის — 10 პროცენტი.

13. მუშებს, მასობრივ პროფესიათა მუშაკებს და შეკვეთების მიმღებებს, რომლებიც განთავისუფლებული არ არიან ძირითადი სამუშაოსაგან და ათავსებენ მოლარის, ატელიეს, სახელოსნოს, ფოტოგრაფიის, საპარიკმახეროს, მიმღები და გამქირავებელი პუნქტების გამგის საშტატო თანამდებობებს, ყოველთვიურად ეძლევათ შეთავსებული თანამდებობის მიხედვით თანამდებობრივი სარგოს 20 პროცენტი.

14. შრომის ასანაზღაურებლად ამონაგების ანარიცხების კონკრეტული ოდენობა არ შეიძლება გადაისინჯოს წლის განმავლობაში, გარდა საპრეისკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რანტო ფასების შეცვლის, ახალი ტექნიკის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გეგმების და წარმოების ახალი ტექნოლოგიის დანერგვის შემთხვევებისა.

ამ დებულების შესაბამისად ამონაგების პროცენტულად შრომის ანაზღაურებაზე მუშაკთა გადაყვანისა და ამონაგების მინიმალური ოდენობის (ნორმების), ისევე როგორც შრომის ანაზღაურების ანარიცხების ცვლილებათა შესახებ მუშაკს ატყობინებენ ორი კვირით ადრე მაინც.

15. ამონაგების მინიმალური ოდენობის (ნორმების) შესრულებისას მუშაკის ხელფასი მის საანგარიშწორებო განაკვეთზე (სარგოზე) ნაკლები არ უნდა იყოს.

თუ მუშაკს სისტემატურად (ორი-სამი თვის განმავლობაში) არა აქვს ამონაგების მინიმალური ოდენობა (ნორმები), საწარმოს ადმინისტრაცია მოვალეა მისცეს მუშაკს დამატებითი სამუშაო ან გადაიყვანოს იგი დადგენილი წესით არასრულ სამუშაო დღეზე (კვირაზე).

16. მთლიანად სტრუქტურული ქვედანაყოფის კოლექტივისათვის დაწესებული შრომის ამონაგების პროცენტულად ანაზღაურებისას ხელფასის დარიცხული თანხა მუშაკთა შორის ნაწილდება მათი სატარიფო განაკვეთების (სარგოების) და ფაქტიურად ნამუშევარი დროის პროპორციულად ან სხვა წესით, რომელიც განსაზღვრულია მუშაკთა შორის შეთანხმებით და დამტკიცებულია საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელის მიერ პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით.

17. ავტომობილების, სატვირთო მოტოციკლებისა და მოტოროლერების მძღოლებს, რომელთა შრომა ნაზღაურდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს 1960 წლის 23 სექტემბრის № 1142/25 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხელფასი ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს მათ მიერ ცალკეულ სახეობათა სამუშაოებიდ (მომსახურების) შესრულებისათვის დაერიცხებათ ანალოგიურ სახეობათა საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის დაწესებული ამონაგების პროცენტულად.

ამასთან ავტომობილების, სატვირთო მოტოციკლებისა და მოტოროლერების მძღოლებს, რომელთა შრომა დროებრივ ნაზღაურდება, ხელფასი ძირითად სამუშაოზე ერიცხებათ იმ დროის გამოკლებით, რაც დახარჯეს ცალკეულ სახეობათა საყოფაცხოვრებო მომსახურების შესრულებისათვის.

ამონაგების პროცენტულად შრომის ანაზღაურებაზე გადაყვანილ მუშაკთა პრემირება

18. საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ხელმძღვანელებს პროფკავშირთა კომიტეტებთან შეთანხმებით შეუძლიათ შემოიღონ იმ მუშაკთა პრემირება, რომელთა შრომა ნაზღაურდება ამონაგების პროცენტულად, ამონაგების გეგმის შესრულებისათვის იმ პირობით, თუ მაღალია მომსახურების (სამუშაოთა) ხარისხი და მომსახურების კულტურა, სანარდო ხელფასის 10 პროცენტამდე ოდენობით და ამ გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველ პროცენტში 1 პროცენტამდე ოდენობით.

პრემირება ხდება თვის ან კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით.

პრემირების წესსა და შეკვეთების შესრულების ხარისხისადმი წაყენე-

ბულ მოთხოვნებს განსაზღვრავს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით.

ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა პრემირება ხდება საამქროს, უბნის, ატელიეს ან სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფთა მუშაობის შედეგების მიხედვით.

19. ამონაგების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ხელფასის ფონდიდან პრემიის კონკრეტული ოდენობის განსაზღვრისას პრემიის უფრო მეტი ოდენობა უწესდებათ იმ მუშაკებს, რომლებისთვისაც გათვალისწინებულია ამონაგების უფრო მაღალი საგეგმო დავალებანი.

20. დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებს პრემიები ეძლევათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს 1968 წლის 30 დეკემბრის № 419/37 დადგენილებით დამტკიცებული ტიპობრივი დებულებით გათვალისწინებული წესით.

ამასთან შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ დებულებით დაწესებული პრემირების მაჩვენებლები, პირობები და ოდენობა.

21. ხელფასის ფონდის ხარჯზე გაცემული პრემიის მაქსიმალური ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ამონაგების დაწესებული პროცენტის მიხედვით მუშაკისათვის დარიცხული ხელფასის 40 პროცენტს.

22. მუშაკებს, რომელთა შრომა ნაზღაურდება ამონაგების პროცენტულად, პრემიები ეძლევათ საწარმოში (ორგანიზაციაში) ხელფასის ფონდის ხარჯვის მდგომარეობის მიუხედავად.

23. საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელს უფლება აქვს ჩამოართვას ცალკეულ მუშაკებს პრემიები მთლიანად ან ნაწილობრივ იმ საწარმოო ხარვეზებისათვის, რომელთა ნუსხას აწესებს საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელი პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით.

მუშაკებს, რომლებზეც შემოსულია დასაბუთებული საჩივარი, რომ უარი თქვეს მიეღოთ შეკვეთა, დაბალხარისხოვნად შეასრულეს სამუშაოები (მომსახურება), არ დაიცვეს შეკვეთების შესრულების ვადები, შემკვეთებს უხეშად მოეპყრნენ, აგრეთვე მუშაკებს, რომლებსაც გამოუვლინდათ მომსახურების საპრეისკურანტო ღირებულების გადიდების, გაუფორმებელი შეკვეთების მიღების, ამონაგები თანხების არა თავის დროზე ჩაბარების, საჩივრისა და წინადადებათა წიგნების გაცემაზე უარის, სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადების შემთხვევები, მთლიანად ჩამოერთმევათ პრემიები, დამნაშავეთა მიმართ მიღებული სასჯელის სხვა ზომების მიუხედავად.

პირებს, რომლებმაც გააცდინეს სამუშაო, აგრეთვე დაარღვიეს შრომის დისციპლინა, პრემიები ჩამოერთმევათ მთლიანად ან ნაწილობრივ.

ხულიგნობისათვის ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, აგრეთვე საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენე-

ბის შემთხვევაში მუშაკებს ჩამოერთმევათ პრემიები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად.

პრემიის ჩამორთმევა ან მისი ოდენობის შემცირება ფორმდება ბრძანებით (საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელის განკარგულებით), რომელშიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს მიზეზები, და იგი ვრცელდება იმ პერიოდზე, რომელშიც გამოვლინდა დარღვევა.

24. მუშაკებს, რომლებმაც იმუშავეს არასრული თვე საბჭოთა არმიაში გაწვევასთან, სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან, სასწავლებელში შესვლასთან, პენსიაში გასვლასთან, შტატების შემცირებისა და სხვა საპატიო მიზეზების გამო დათხოვნასთან დაკავშირებით, პრემიები მიეცემათ ნამუშევარი დროის ფაქტიური ხელფასის მიხედვით.

პრემიები გაიცემა საანგარიშსწორებო პერიოდის ხელფასის გაცემისას.

25. ინსტრუქციას ამ დებულების გამოყენების წესის შესახებ შეიმუშავებს და გამოსცემს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

48 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის სისტემატური კრებულის გამოცემასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 28 მაისის № 377 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს (საქართველოს სსრ ცსს) დებულების დამტკიცების შესახებ“;

—1-ლი პუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 7 ივნისის № 355 დადგენილებისა „სამშენებლო-სამონტაჟო და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დაგეგმვის წესის შესახებ“ იმ ნაწილში, რომელიც საქართველოს სსრ სახმშენს ეხება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 31 მაისი, № 293.

49 თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების საკითხები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გათვალისწინებულ იქნეს თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებისადმი დაქვემდებარებული საავტობუსო და სატაქსმოტორო ტრანსპორტის საწარმოო გაერთიანებათა და ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მუშაობის პირობები, რომლებიც წარმოშობენ საჭიროებას შეუნარჩუნდეთ მათ საწარმოო გაერთიანების სტატუსი, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების საქმიანობის თავისებურებანი, რომელიც ახორციელებს მგზავრთა საქალაქთაშორისო გადაყვანას და ტვირთზიდვასა და მგზავრთა გადაყვანას საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში, და გავრცელდეს თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებაზე მოქმედება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 მარტის № 140 დადგენილებით დამტკიცებული საერთო დებულებისა სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა შესახებ სატრანსპორტო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით.

2. იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისის სატრანსპორტო გაერთიანება ექვემდებარება როგორც საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, ისე თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს, დაწესდეს, რომ:

ა) ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის მოცულობას და ავტობუსებით, ტრამვაით, ტროლეიბუსით და ტაქსით საქალაქო პარკის შევსების საფონდო ლიმიტებს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო უთანხმებს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს;

ბ) მარშრუტები და მათზე მოძრავი ერთეულების შესაბამისი რაოდენობა განისაზღვრება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სატრანსპორტო კომისიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად;

გ) ტრამვაისა და ტროლეიბუსის ხაზების გაყვანისა და რეკონსტრუქციის პროექტების და კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის შემუშავების დავალებებს ამტკიცებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ერთად.

3. დაწესდეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თანაბარი პასუხისმგებლობა გაერთიანების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გეგმაზომიერი განვითარებისა და იმ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მძღოლთა კადრებისა და სარემონტო-საექსპლუატაციო ქვედანაყოფების საწარმოო პერსონალის მოზიდვასა და შენარჩუნებას.

4. დაწესდეს, რომ მოყოლებული 1975 წლიდან, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო სატრანსპორტო საშუალებებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების (ტრამვაის, ტროლეიბუსის ვაგონები, ავტობუსები, ტაქსები, სათადარიგო ნაწილები და აგრეგატები, მოწყობილობა და სხვ.) დაგეგმვასა და გამოყოფას თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებისათვის მოახდენს მგზავრთა გადაყვანაში მისი ხვედრითი წონისა და დედაქალაქის პირობებში ტრანსპორტის მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხოლო საქართველოს სსრ მთავარმომარაგება გამოყოფილ ფონდებს უშუალოდ დაუსაქონლებს თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 4 ივნისი, № 304.

ეროვნული ბიბლიოთეკა

50 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის საკითხები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თანდართული შემადგენლობა.

3. გადიდდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის საშტატო რიცხოვნობა 26 ერთეულით თვეში 4.573 მანეთი ხელფასის ფონდით და დამტკიცდეს ამასთან დაკავშირებით კომიტეტის თანდართული სტრუქტურა, რომლის შტატის საერთო რიცხოვნობა განისაზღვროს 71 ერთეულით თვეში 12.207 მანეთი და 50 კაპიკი ხელფასის ფონდით და 16.500 მანეთი ზღვრული ასიგნებებით.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 22 მაისის № 297 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის საკითხები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 24 ივნისი, № 351.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1974 წლის 24 ივნისის № 351
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი არის რესპუბლიკური ორგანო და თავისი საქმიანობით ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი უზრუნველყოფს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ყოველმხრივ გამოყენების დარგში.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ძირითადი ამოცანები ის არის, რომ:

— განსაზღვროს რესპუბლიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითადი მიმართულებანი;

— უზრუნველყოს სადარგთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების შემუშავება;

— აამაღლოს მეცნიერულ გამოკვლევათა ეფექტიანობა და უზრუნველყოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა უსწრაფესი დანერგვა სახალხო მეურნეობაში;

— მოაწყოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა;

— განსაზღვროს სახალხო მეურნეობაში ელექტრონულ-გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებათა ფართოდ და ეფექტიანად გამოყენების ძირითადი მიმართულებანი;

— კონტროლი გაუწიოს სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის მიმდინარეობას;

— განახორციელოს კავშირურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხებზე.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებებით, ბრძანებებითა და ინსტრუქციებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და

უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორ გამოყენებას კომიტეტის სისტემის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) განახორციელებს სახალხო მეურნეობის დარგებში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონის ტექნიკურ-ეკონომიურ შეფასებას, შეიმუშავებს და განახორციელებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ღონისძიებებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და შრომის ორგანიზაციის მეცნიერული მეთოდების განვითარებისათვის;

ბ) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშავებს წინადადებებს პერსპექტიული პერიოდისათვის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებათა შესახებ; რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა გეგმების საფუძველზე შეიმუშავებს სამუშაოთა გეგმების პროექტებს ძირითად სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემათა გადასაწყვეტად; განიხილავს და დააზუსტებს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა და სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენების გეგმათა პროექტებს, რომლებიც შემუშავებულია რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ;

გ) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მიერ წარდგენილი მასალების საფუძველზე შეიმუშავებს წინადადებებს სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა შედეგების გამოყენების შესახებ და წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სახალხო-სამეურნეო გეგმაში მათ შესატანად;

დ) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განიხილავს და შეარჩევს რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების მიერ შესრულებულ ყველაზე პერსპექტიულ ფუნდამენტურ გამოკვლევებს და უზრუნველყოფს მათს შემდგომ დამუშავებას ინსტიტუტებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებში;

ე) დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად გამოავლენს რესპუბლიკისათვის დიდი პრაქტიკული ინტერესის მქონე უმნიშვნელოვანეს აღმოჩენებსა და გამოგონებებს და უზრუნველყოფს ღონისძიებათა შემუშავებას სახალხო მეურნეობაში მათი დანერგვისათვის;

ვ) შეიმუშავებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების გეგმათა პროექტების საფუძველზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა დაფინანსების გეგმათა პროექტებს;

ზ) გასცემს დასკვნებს საჭირო იმპორტული სამეცნიერო და საწარმოო მოწყობილობის, აპარატურის, ხელსაწყოებისა და მასალების შესაძენად;

თ) შეიმუშავებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების გეგმათა პროექტების საფუძველზე და წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო კადრების მომზადების გეგმათა პროექტებს, შეიმუშავებს ღონისძიებებს მათი მომზადებისა და სახალხო მეურნეობაში გამოყენების გასაუმჯობესებლად;

ი) განახორციელებს სახელმწიფო კონტროლს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგების განვითარების ტექნიკური დონისადმი, უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა შესრულებისადმი და სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევათა დანერგვისადმი რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა (სამშენებლო ორგანიზაციების და საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოების გარდა); შეამოწმებს, შეესაბამება თუ არა სამინისტროებისა და უწყებების მიერ დამტკიცებული სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა წლიური გეგმები რესპუბლიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებებს, შეამოწმებს სამეცნიერო დაწესებულებებში მეცნიერთა კადრების მომზადების, მეცნიერების განვითარებისათვის გამოყოფილ ასიგნებათა გამოყენების მდგომარეობას; მოისმენს აღნიშნულ საკითხებზე სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა მოხსენებებსა და ინფორმაციებს და შემოწმებათა შედეგების მიხედვით მიიღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად;

კ) დაუწესებს რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს მათთან შეთანხმებით დამატებით დავალებებს მათი საქვეუწყებო სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და საწარმოების ძალებით სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-სამრეწველო სამუშაოთა განხორციელების შესახებ, რომლის საჭიროება წარმოიშობა წლის განმავლობაში;

ლ) შეიმუშავებს და განახორციელებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ მეცნიერული კვლევის ორგანიზაციის გაუმჯობესებას და მისი ეფექტიანობის ამაღლებას; მოამზადებს წინადადებებს სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელის სრულყოფის შესახებ; განიხილავს შესათანხმებლად წარსადგენ წინადადებებს ახალ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა მოწყობის შესახებ; განიხილავს სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების და მათი საცდელ-სამრეწველო ბაზების ასაშენებელი ობიექტების ნუსხებს და გასცემს მათ გამო დასკვნებს;

მ) განახორციელებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებათა დანერგვის დაგეგმვას და კონტროლს გაუწევს მას;

ნ) კოორდინაციას გაუწევს რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა მუშაობას სახალხო მეურნეობაში მართვის მეთოდების, სტრუქტურისა და პროცესების სრულყოფისათვის ეკონომიურ-მათემატიკური მეთოდებისა და გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებათა მაქსიმალური გამოყენებით;

ო) კოორდინაციას გაუწევს და წარმართავს რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საპროექტო ორგანიზაციების გამოთვლითი ცენტრების მუშაობას სხვადასხვა დონისა და დანიშნულების მართვის ავტომატურ სისტემათა შემუშავებისა და დანერგვისათვის;

პ) ხელმძღვანელობას გაუწევს სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა და მოწინავე საწარმოო-ტექნიკური გამოცდილების შესწავლას, გავრცელებასა და პროპაგანდას, განახორციელებს დადგენილი წესით მეთოდიკურ ხელმძღვანელობასა და კონტროლს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ორგანოთა საქმიანობისადმი, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა;

ჟ) ხელმძღვანელობას გაუწევს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენისა და კომიტეტის საქვეუწყებო სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობას, აგრეთვე რესპუბლიკის მონაწილეობას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მუშაობაში;

რ) მოაწყობს საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან ერთად მუშაობას საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებში რესპუბლიკის მონაწილეობისათვის, აგრეთვე რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოეთის გამოფენების ჩატარებისათვის;

ს) ხელმძღვანელობას გაუწევს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების (მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) მუშაობას საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნიკური კავშირურთიერთობის დარგში და განახორციელებს კონტროლს ამ მუშაობის შედეგების მიხედვით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში წინადადებათა დანერგვისადმი;

ტ) განაგებს სახელმწიფო ბიუჯეტის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის განკუთვნილ ასიგნებათა რეზერვს და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მუშაკთა ხელფასის ფონდს და იყენებს ამ რეზერვებს უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა განსახორციელებლად, რომლის საჭიროება წარმოიშობა წლის განმავლობაში;

უ) შექმნის სამეცნიერო საბჭოებს მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანეს სადარგთაშორისო პრობლემებზე, სამეცნიერო-ტექნიკურ კომისიებსა და საექსპერტო ჯგუფებს და ჩააბამს მეცნიერებსა და სპეციალისტებს მათ მუშაობაში მონაწილეობისათვის;

ფ) მოაწყობს საჭირო შემთხვევებში მეცნიერულ ექსპერტიზას სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა განხორციელებასთან და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ქ) მოაწყობს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენასთან ერთად კონკურსებს, რომლებიც მიზნად ისახავენ უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემათა გადაწყვეტას, და დააჯილდოებს ამ კონკურსებში გამარჯვებულ სამეცნიერო დაწესებულებათა, უმაღლეს სასწავლებელთა, საცდელ-საკონსტრუქტორო ორგანიზაციათა, საწარმოთა კოლექტივებს, ცალკეულ მეცნიერებსა და სპეციალისტებს პრემიებით, დიპლომებითა და მედლებით ამ მიზნისათვის გამოყოფილ ასიგნებათა ხარჯზე;

ღ) მიიღებს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისაგან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისაგან, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან, აგრეთვე საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან მოქმედი ანგარიშგების ფარგლებში მასალებს, რომლებიც საჭიროა კომიტეტისათვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად;

ყ) მიიღებს სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციებისათვის სავალდებულო გადაწყვეტილებებს იმ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა შეწყვეტის შესახებ, რომლებიც გაუმართლებელ დუბლირებას ახდენენ ან არა აქვთ თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, და მათი დაფინანსების შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე ჩარიცხავს ამასთან დაკავშირებით განთავისუფლებულ სახსრებს კომიტეტის რეზერვში, რასაც აცნობებს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს; მოამზადებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით წინადადებებს ნაკლებეფექტიანი სამეცნიერო დაწესებულებებისა და მათი ქვედანაყოფების დახურვის ან მათი მუშაობის პროფილის შეცვლის შესახებ;

შ) განიხილავს კომიტეტის კომპეტენციისათვის განკუთვნილ სადავო საკითხებს, რომლებიც წამოიჭრება რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს შორის უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა განხორციელების პროცესში, და მიიღებს მათ გამო გადაწყვეტილებებს;

ჩ) მიიღებს კომიტეტის კომპეტენციისათვის განკუთვნილ საკითხებზე დადგენილებებს, რომლებიც სავალდებულოა რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისათვის;

ც) მოიწვევს დადგენილი წესით კონფერენციებსა და თათბირებს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პრობლემათა განსახილველად.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებებსა და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოს მონაწილეობას მიაღებინებს რესპუბლიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებათა შემუშავებაში, სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვისადმი კონტროლში, სამეცნიერო საბჭოების, კომისიებისა და საექსპერტო ჯგუფების მუშაობაში, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა და მოწინავე საწარმოო-ტექნიკური გამოცდილების პროპაგანდის ორგანიზაციაში.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს სათავეში უდგას კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიათა შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რაც შემდგომ შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

მუხეარნეულის ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერების და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი იქმნება შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები და კომიტეტის წევრები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, მათ შორის კომიტეტის წევრები — თვალსაჩინო მეცნიერები და მრეწველობის ხელმძღვანელები, რომლებიც კომიტეტის აპარატის შტატში არ არიან.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომიტეტისა და მისი საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მთელ საქმიანობას, გამოსცემს კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და შესასრულებლად და ამოწმებს მათს შესრულებას; შეაქვს ცვლილებანი კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურაში და ამტკიცებს მის საშტატო განრიგს კომიტეტის ცენტრალური აპარატისათვის დამტკიცებული მუშაკთა რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში; დადგენილი წესით ქმნის, აუქმებს და გარდაქმნის საქვეუწყებო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს; ამტკიცებს მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანეს სადარგთაშორისო პრობლემათა სამეცნიერო საბჭოების, სტრუქტურული ქვედანაყოფების, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დებულებებს; ნიშნავს თანამდებობაზე და ათავისუფლებს თანამდებობიდან კომიტეტის ცენტრალური აპარატისა და უშუალოდ მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაკებს დადგენილი ნომენკლატურის შესაბამისად.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში იქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე (კოლეგიის თავმჯდომარე), კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სხვა ხელმძღვანელი მუშაკები — კომიტეტის წევრები.

კომიტეტის კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი სახელწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1974 წლის 24 ივნისის № 351
დადგენილებით

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტისა

კომიტეტის ხელმძღვანელობა
მეტალურგიის, ქიმიისა და სამთამადნო მრეწველობის განყოფილება
მანქანათმშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილება
ენერგეტიკის, ელექტროტექნიკისა და ხელსაწყოთმშენებლობის განყოფილება
მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილება
სოფლის მეურნეობის განყოფილება
მართვის სისტემებისა და გამოსათვლელი ტექნიკის განყოფილება
მედიცინისა და ბუნებისმეტყველების განყოფილება
სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის განყოფილება
გამოფენათა განყოფილება
კრებსითი გეგმის განყოფილება
საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნიკური კავშირურთიერთობის განყოფილება
კადრების განყოფილება
ადმინისტრაციულ-სამეურნეო ნაწილი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებობს:

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიურ გამოკვლევათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
საქართველოს გ. შ. მიქელაძის სახელობის რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა
საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

51 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 1 ივლისის № 346 დადგენილებით დამტკიცებულ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებაში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. 27-ე პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) გადავიდა სხვა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე“.

2. 45-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„45. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი თავის საქმიანობას ახორციელებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობითა და კონტროლით, რომელსაც უფლება აქვს გააუქმოს კოოპერატივის გამგეობის ან წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებანი, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას ან კოოპერატივის წესდებას, ანდა წინადადება მისცეს კოოპერატივის წევრთა საერთო კრებას გადასინჯოს ასეთი გადაწყვეტილება“.

3. 47-ე პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე და მესამე აბზაცები:

„თუ კოოპერატივის წევრთა საერთო კრება არ ეთანხმება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის წინადადებას კოოპერატივის ამა თუ იმ წევრის გარიცხვის შესახებ, ამ წესდების 27-ე პუნქტით გათვალისწინებულ საფუძველზე, გარიცხვის საკითხს წყვეტს აღმასკომი.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება კოოპერატივის წევრის გარიცხვის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის ზემდგომ ორგანოში“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1974 წ. 28 ივნისი. № 358

ინდექსი — 76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3 за 1974 год.

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/XII-74 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16
საბეჭდი თაბახი 5, სააღრიცხვო თაბახი 5.

წლიური ხელმოწერის ფასი 8 მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეკვეთა № 855 უე 05997 ტირაჟი 2100

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
თბილისი, რუსთაველის გამზირი № 8.

6 11/18

ეროვნული
ბიბლიოთეკა